# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 აგვისტო 2006 №182 (2804) ფასი 50 თეთრი






# ტრავმის ხიზნები

## ტოპმიოლლერმა ექსპერიმენტზე უნდა იფიქროს

ტორსჰავნი, 16 აგვისტო, ევრო 2008-ის შესარჩევის პირველი ტური: ფარერები — საქართველო. ერთი შეხედვით, საქართველოს ნაკრებს გამარჯვების ურიგო შანსი როდი აქვს, თუმც, დახეთ, რა ხდება — კახა კალაძე ვერ ითამაშებს, შოთა არველაძის და ოთარ ხიზანეიშვილის თამაში სათუოა, ნაკრებს ტრავმის გამო კიევის „დინამოს“ ფორვარდი ოთარ მარცვალაძეც ვერ დაეხმარება... გუშინ კი ისეთი ამბავი შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების დაცვის ხაზი ფარერებთან ალბათ ექსპერიმენტული იქნება — დაშავდა ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილიც.

— 6 აგვისტოს „ალემანიასთან“ ვითამაშეთ ამხანაგური მატჩი და თამაშის მეორე დღეს ორივე საზარდული ამტკივდა. მას შემდეგ არ მივარჯიშია და ახლა მხოლოდ მარცხენა საზარდული მაწუხებს, ოღონდ რაღაც უცნაურად, ტკივილი საზარდულის ზევითაც გადამდის. ექიმების წინასწარი დიაგნოზით, ეს გადაღლის ბრალია. ხვალ როტერდამში „ფეიენოორდს“ ვხვდებით და, რა თქმა უნდა, ვერ ვითამაშებ. არ ვიცი, როგორ ვიქნები 16 აგვისტოსთვის, მაგრამ სანაკრებო შეკრებაზე აუცილებლად წავალ და გუნდთან ერთად ვიქნები — გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**





## ააფრინე ალალიო... საშა ჩიხრაძე ჩვენი ვერ არიო... რუსეთმა სპარტაკს თითი დაუქნია



ბადრი ქეთილაძის ფოტოები

## ბუნდესგამოცდა: ქართულ კლუბთაგან ყველაზე ძნელი

## გლდანი — ბერლინი ამერის შორი გზა და ტვირთი



ნალჩიკის „სპარტაკის“ მეკარის ალექსანდრე ჩიხრაძის „გაქართველების“ საქმე, როგორც ჩანს, პოლიტიკურ იერს იძენს და საჩვენოდ ცუდი დასასრულისკენ მიდის...

# მე ქართველი აღარა ვარ

## რუსეთმა სპარტაკს თითი დაუქნია



...გუშინ ალექსანდრე ჩიხრაძეს დავუკავშირდით და როცა მისთვის ორმაგი მოქალაქეობის სტატუსზე ვკითხეთ, მოულოდნელი პასუხი მივიღეთ. ჩიხრაძის სიტყვები სიტყვა-სიტყვით რომ გადმოვაქართულოთ, ეს გამოდის — „ჩემთვის ორმაგი მოქალაქეობის მიღების საკითხი ამოწურულია.“

ალექსანდრე ჩიხრაძის თქმით, ნალჩიკის „სპარტაკმა“ რუსეთის საფეხბურთო კავშირიდან მიიღო წერილი, საიდანაც „სპარტაკს“ ატყობინებენ, რომ თუ რუსეთის მოქალაქე ჩიხრაძემ ქართული პასპორტიც მიიღო, ის ნალჩიკის „სპარტაკისთვის“ ლეგიონერად ჩაითვლება.

— არც რუსეთის მოქალაქეობის დათმობა მსურს და არც ის, რომ „სპარტაკში“ ლეგიონერად ვითვლებოდე. სწორად გამიგეთ, მინდა საქართველოს ნაკრებში თამაში, მაგრამ არის პირადი საქმეებიც, რომელსაც ქართული პასპორტის მიღებას ვერ გადავაყოლებ — გვითხრა ალექსანდრე ჩიხრაძემ — რუსეთის საფეხბურთო კავშირის წერილში ნათქვამია, რომ ქვეყანაში ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, ორმაგი მოქალაქეობის მქონე ფეხბურთელი ლეგიონერად არ ჩათვლილიყოს. საქართველოს პასპორტსაც თუ ავიღებ, კლუბში მეც ლეგიონერად ჩავითვლები.

ერთი სიტყვით, ალექსანდრე ჩიხრაძემ თავისი გაქართველება უკვე გამორიცხულად მიიჩნია და ჩვენთან საუბრისას ისიც თქვა, ამ საქმის გაგრძელებას არანაირი აზრი აღარ აქვსო.

ჩიხრაძის შემდეგ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ასეთი კომენტარი გააკეთა:

— ჩიხრაძის საქმესთან დაკავშირებით რუსეთის საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებები გრძელდება. ვნახოთ, რა გამოვა...

**ქობა ინასარიძე**

# მარცვალაძე ფარერებიდან საფრანგეთზე გადაინაცვლა



**ოთარ მარცვალაძის** ფარერებზე თამაში რომ საბოლოოდ გამოირიცხა, ადრეც გაუწყეთ. საინტერესოა, როგორ აქვს ახლა ფეხი კიევის „დინამოს“ ქართველ ფორვარდს, რომელიც ერთხელაც ეჩვენა ექიმებს?

— ექიმებმა მითხრეს, რომ თამაშს კიდევ ათი დღე ვერ შევძლებ. მერე კი უნდა ვნახოთ, რა მდგომარეობაში მექნება ფეხი და ამის მიხედვით გავაგრძელებ მკურნალობას. თუ ტკივილმა ამ ათ დღეში არ გამიარა, მაშინ უფრო სერიოზული ჩარევა დამჭირდება. ახლა კი სირბილს, ტრენაჟორებზე ვარჯიშს და ცურვას ვახერხებ. უფრო მეტი დატვირთვა აკრძალული მაქვს — ამბობს ოთარ მარცვალაძე, ვისაც იმედი აქვს, რომ საფრანგეთთან 2 სექტემბრის მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

**ბახა შალამბერიძე**

# იაშვილი 1:0 ცქიტიშვილი

## ქართული დუელი გერმანიაში



ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილი

ალექსანდრე იაშვილი ლევან ცქიტიშვილის წინააღმდეგ — ასეთი საინტერესო დუელი გაიმართა გერმანიაში. „ფრაიბურგმა“ ტესტ-მატჩში ბერძნულ „პანიონიოსს“ უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. ქართველები ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და საკმაოდ აქტიურადაც ითამაშეს.

შეხვედრა ფრაიბურგელთა უპირატესობით წარიმართა და ერთადერთი გოლი 28-ე წუთზე მოჰამადმა გაიტანა.

სხვათა შორის, ფრაიბურგელმა ქომაგმა საკმაოდ თბილი დახვედრა მოუწყო ექსფრაიბურგელ ცქიტიშვილს, ვინც „პანიონისში“ ამ ცოტა ხნის წინ „ვოლფსბურგიდან“ გადავიდა.

ფეხმტკივანი ოთარ ხიზანეიშვილი არ გამოჩენილა, იაშვილი 87-ე წუთზე შეცვალეს, ცქიტიშვილმა კი სრულად ითამაშა.

**ბახა შალამბერიძე**

ქართული ფეხბურთის ლეგენდას,
ბატონ **სერგო კოტრიკაძეს**
დღეს 70 წელი შეუსრულდა. საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“
დაბადების დღეს ულოცავს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს
უსურვებს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დინამოელს

## ჯოვანი ელბერის გამოსათხოვარი მატჩი

**ბაიერნი 0:3 მიუნხენ 1860**

0:1 დი სალვო (27), 0:2, 0:3 ადლერი (62, 83)

**ბაიერნი:** კანი (რენსინგი 46), სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი (ოტლი 46), დოს სანტოსი (შოლი 46), ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, ელბერი (მაკაი 52), სანტა კრუზი (პოდოლსკი 46)

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**მიუნხენ 1860:** მ. ჰოფმანი, ლვინიანიძე (ბურხარდი 81), ბერჰალტერი, ტ. ჰოფმანი (იანკერი 84), შეფერი, ზიგენბაინი (ჯონსონი 69), შვარცი (შ. ბენდერი 81), baიერი, მილხრაუმი (თოპარდნტი 69), დი სალვო (ადლერი 46), ვუჩიჩევიჩი

**მწვრთნელი:** ვალტერ შახნერი

**მსაჯი:** პეტერ შიპელი

69 000 მაყურებელი




AFP

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ავსტრია** (ავსტრია) 1:1 **ბენფიკა** (პორტუგალია)

0:1 ნუნუ გომეში (16), 1:1 ბლანშარი (36)

**დინამო** (ხორვატია) 0:3 **არსენალი** (ინგლისი)

0:1 ფაბრეგასი (63), 0:2 ვან პერსი (64), 0:3 ფაბრეგასი (79)

## უეფას თასი 2006-2007

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ოფკ** (სერბეთი) 1:0 **ოსერი** (საფრანგეთი)

**ომონია** (კვიპროსი) 0:0 **ლიტექსი** (ბულგარეთი)

### ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

ლესტერი 0:1 ბარნლი
ჰალი 2:3 ბარნსლი
ნორვიჩი 2:0 პრესტონი
კარდიფი 1:1 ვესტ ბრომვიჩი
უენსდი 0:1 ლუთონი
სტოკი 2:0 დერბი
კოლჩესტერი 0:1 პლიმუთი
ვულვზი 1:0 იფსვიჩი
ქუინზ პარკი 2:2 ლიდსი
კრ. პალასი 3:1 საუთენდი

I ლიგა. II ტური

სკანთორპი 2:2 სუონსი
ბლეკპული 0:2 ნოტინგემი
ბრედფორდი 2:1 ბრისტოლი
ბრაიტონი 1:0 ჯილინგემი
ჩელტენემი 1:0 ტრანმერი
დონკასტერი 3:1 ქრიუ
ჰადერსფილდი 3:0 როტერჰემი
ლეიტონი 2:0 მილუოლი
ნორთჰემპტონი 0:1 ბრენტფორდი
ოლდემი 0:1 პორტ ვეილი
იოვილი 0:0 ბორნმუთი

II ლიგა. II ტური

აკრინგტონი 0:2 დარლინგტონი
როვერსი 1:2 უიკომბი
ბერი 1:3 ჩესტერი
ჰერეფორდი 1:2 ლინკოლნი
მაკლსფილდი 0:0 ჰარტლპული
მენსფილდი 2:1 დონსი
ნოტსი 1:1 შრიუსბერი
სუინდონი 2:1 ბარნეტი
ტორკი 1:0 როჩდეილი
უოლსოლი 2:0 სტოკპორტი
რექსემი 3:0 გრიმსბი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
II ტური

ოსნაბრიუკი 1:0 დიუსელდორფი
ალენი 2:2 ერფურტი

სამხრეთ რეგიონალლიგა
II ტური

როიტლინგენი 1:1 შტუტგარტი (მ)
ზაარბრიუკენი 0:1 დარმშტადტი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. III ტური

ისტრი 2:2 დიჟონი
აიაჩო 3:1 ამიენი
ლე ავრი 3:0 ტურსი
გრენობლი 1:0 გენგამი
კაენი 1:0 ბრესტი
გენიონი 0:1 ნიორი
კრეტეი 1:3 შატორუ
სტრასბური 2:0 მონპელიე
რეიმსი 2:0 მეცი

### შოტლანდია

ლიგის თასის I ეტაპი

ალბიონი 1:2 *სტენჰაუზმური*
*კოუდენბითი* 4:1 ისტ სტირლინგი
*დამბარტონი* 3:0 სტირლინგი
დანდი 1:3 *პარტიკი*
ფორფარი 1:2დ.დ.(1:1) *ალოა*
*ქუინზ პარკი* 2:1დ.დ.(1:1) ჰამილტონი
*ბრეჩინი* 2:1 მორტონი
*ქუინი* 4:2 კლაიდი
რეითი 1:2 *ერდრი*
*როსი* 4:2 სტრანრარი
*სენტ ჯონსტონი* 3:1 ისტ ფაიფი

### შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

ელფსბორგი 4:2 მალმიო

### ნორვეგია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ტრიომსდალენი 1:1 სოგნდალი

## ამხანაგური მატჩები

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:1 ჩელსი (ინგლისი)
ჰერენვენი (ჰოლანდია) 4:0 მიდლსბრო (ინგლისი)
უოტფორდი (ინგლისი) 1:1 ინტერი (იტალია)




# როგორც მიდიხართ, ისე ჩამოსულიყავით

## ჩიხრაძემ ჰერტამდე პრეზიდენტებთან ფლანგები მოსინჯა

**თბილისის** „ამერი“ ამ დილით ბერლინს გაემგზავრა და ხვალ მასპინძელ „ჰერტასთან“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას გამართავს.

გუშინ კი „ამერმა“ ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელობის თვალწინ საკუთარ, კლდანის სარბიელზე დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა. „ყვითლები“ ხალისიანად გამოიყურებოდნენ და გიორგი ჩიხრაძის დავალებებსაც მონდომებით ასრულებდნენ. აქცენტი ფლანგურ შეტევებზე — აი, რაც ყველაზე მეტად გვენიშნა გუშინდელი ვარჯიშისას, თუმცა გიორგი ჩიხრაძე რას და როგორ გადაწყვეტს, თავად იცის და მისგან არც სიურპრიზები უნდა იყოს გამორიცხული...

— ჩვენც გვსურს „ჰერტა“ — „ამერის“ მატჩზე დასწრება და ჩვენების ტრიბუნიდან ქომაგობა, მაგრამ მალე საქართველოს ნაკრებს რამდენიმე ოფიციალური მატჩი ელის და საორგანიზაციო საკითხებით ვართ დაკავებულნი — გვითხრა პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა — „ამერის“ ვარჯიშზე კი ჩვენმა ინტერესმა მოგვიყვანა, თანაც კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ეროვნულ ჩემპიონატზეც ვესაუბრეთ. გვაინტერესებდა მისი აზრი მომავალ მეტოქეზეც. მერე კი გუნდი გავახვნევეთ და გზა დავულოცეთ. გვესიამოვნა, რომ ბიჭები მხნედ და მშვენიერ განწყობაზე არიან. „ჰერტა“ სულაც არაა უძლეველი გუნდი და ძალიან გვსურს, „ამერი“ ბერლინიდან ისეთივე კარგ ხასიათზე დაბრუნდეს, როგორიც დღეს ვნახეთ...

დიმიტრი რამიშვილის გარდა გუშინდელ ვარჯიშს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი რალფ მინგე ესწრებოდნენ.

ბერლინში გიორგი ჩიხრაძემ ეს 20 ფეხბურთელი წაიყვანა:

**მეკარეები**

1. ლადო ნადირაშვილი, 16. ზურაბ ქვაჩახია

**მცველები**

3. ზურაბ გვაძაბია, 4. გიორგი ელბაქიძე, 5. გიორგი დავითნიძე, 15. ჯაბა ბერიანიძე, 24. ვახტანგ ხვადაგიანი, 32. თენგიზ ჩიკვილაძე

**ნახევარმცველები**

6. დავით მჭედლიშვილი, 10. გიორგი დეკანოსიძე, 13. იური გაბისკირია, 14. გიზო ჯელაძე, 17. დავით ბოლქვაძე, 22. გრიგოლ დოლიძე, 23. დენის დობროვოლსკი 28. გიორგი სილაგავა

**თავდამსხმელები**

7. სულიკო დავითაშვილი, 11. რატი წინამძღვრიშვილი, 18. დიმიტრი ტატანაშვილი, 20. დავით სევასტოპულო.

შეგახსენებთ, „ჰერტა“ — „ამერი“ ხვალ, ბერლინის „ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკის“ სტადიონზე ჩვენი დროით, 21 საათზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**



„ამერის“ პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ გუნდის საუკეთესო მეგოლე სულიკო დავითაშვილი ვარჯიშის წინ ბუცებით დაასაჩუქრა




## დავით ყიფიანის თასი

### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ დაასახელა ის მსაჯები, რომლებიც დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების პირველი ეტაპის პირველ მატჩებს მოემსახურებიან:

**10 აგვისტო**

**ზესტაფონი** — **გურია** ლანჩხუთი
**მსაჯები:** კ. ჭაჭუა, ი. მაჩიტაძე, ი. კაკაბაძე, პ. დოგრაშვილი
**ტორპედო** ქუთაისი — **მეშახტე** ტყიბული
**მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე, ე. გოგინავა
**ჩიხურა** საჩხერე — **სამტრედია**
**მსაჯები:** ხ. გაგნიძე, დ. მაღრაძე, გ. ლომსაძე, ი. შენგელია
**ბორჯომი** — **მერცხალი** ოზურგეთი
**მსაჯები:** ზვ. ასკაროღლი, ზ. ხუციშვილი, ს. სპიცინი, გ. ვადაჭკორია
**დილა** გორი — **მეშაძრე** აგარა
**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი, ა. სამხარაძე, გ. ცირდავა, დ. გოგოლაძე
**სპარტაკი** თბილისი — **ზოოვეტი** თბილისი
**მსაჯები:** ლ. სილაგავა, კ. გუდურაშვილი, გ. დოგრაშვილი, დ. კურტანიძე
**კახეთი** თელავი — **ამირანი** თბილისი
**მსაჯები:** ი. ურუშაძე, ბ. ჭიჭინაძე, ზვ. გურგენიძე, დ. სანოძე
**ლოკომოტივი** თბილისი — **ნორჩი დინამოელი** თბილისი
**მსაჯები:** შ. ქუხილავა, ზ. ასკაროღლი, ო. მოლოდინაშვილი, კ. ტეფნაძე
**გაგრა** — **მესხეთი** ახალციხე
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ზ. ჯვარიძე, კ. ბერაძე, ა. კრიჭაშვილი
**ოლიმპი** რუსთავი — **მაღაროელი** ჭიათურა
**მსაჯები:** ა. გუნთაძე, ე. ნარმანია, ა. კოკაია, მ. ურუშაძე
**მერანი** თბილისი — **ლიახვი** თამარაშენი
**მსაჯები:** ა. ორდინიძე, ზ. მენთეშაშვილი, ვ. ცინცაძე, ვ. გუმბერიძე

**11 აგვისტო**

**დინამო** ბათუმი — **მგლები** ზუგდიდი
**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, მ. ნაკაიძე

# საქართველო პალანგას პოლონეთით იწყებს




ჰერბერტ ცანკერი

**16-23 აგვისტოს** ლიტვაში პალანგის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელშიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც მონაწილეობს.

ლიტვის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ჩაატარა წილისყრა და გუნდები ორ ჯგუფში გადაანაწილა...

I **ჯგუფი:** ლიტვა, რუსეთი, უკრაინა, ლატვია
II **ჯგუფი:** ბელარუსი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო.

აქვე მატჩების განრიგსაც შემოგთავაზებთ:

17 აგვისტო

ბელარუსი — აზერბაიჯანი
**პოლონეთი — საქართველო**
რუსეთი — ლატვია
ლიტვა — უკრაინა

18 აგვისტო

**საქართველო — ბელარუსი**
პოლონეთი — აზერბაიჯანი
რუსეთი — უკრაინა
ლატვია — ლიტვა

20 აგვისტო

ბელარუსი — პოლონეთი
**აზერბაიჯანი — საქართველო**
უკრაინა — ლატვია
ლიტვა — რუსეთი

ადგილები 22 აგვისტოს გათამაშდება.

შეგახსენებთ, რომ პალანგაში წასვლამდე ჰერბერტ ცანკერის ბიჭები ხვალ ამხანაგურ მატჩში სომეხ თანატოლებს შეხვდებიან. ორიოდ დღის წინ მათ პირველ შეხვედრაში ჩვენებმა 1:0 იმარჯვეს.

**კახა შალამბერიძე**

# უფეხბურთოდ ყველაფერი ძალიან ძნელი იქნებოდა



დღეს 70 წელი შეუსრულდა სერგო კოტრიკაძეს.

თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ მეკარეს, ლამაზი სტილის მოთამაშეს, პირველ ჩემპიონთა ერთ-ერთ ლიდერს.

სერგო კოტრიკაძე მაშინ თამაშობდა და იდგა კარში, როცა ფეხბურთი ვარსკვლავების თამაში იყო და მეკარეებიც ვარსკვლავები იყვნენ. მის ეპოქაში მეკარედ ყოფნა და თანაც საბჭოთა კავშირში, იოლი საქმე სულაც არ იყო. ამ ქვეყანას მაშინ იაშინით იცნობდნენ მთელს მსოფლიოში. ყოველ მოწინავე გუნდს მაშინ გამორჩეული მეკარე ჰყავდა და კოტრიკაძეც იყო გამორჩეული მეკარე! უაღრესად მოქნილი, მოხდენილი და დასამახსოვრებელი. ფეხბურთის ჯადოქართა დროებაში მან თავისი კვალი დატოვა მინდორზე...



— 60-იან წლებში ბევრს კამათობდნენ, სერგო კოტრიკაძე უფრო ძლიერი მეკარე იყო თუ ანზორ კავაზაშვილი...

— ამ საკითხს ასე ვუყურებ: კავაზაშვილმაც და კოტრიკაძემაც თავისი დაამტკიცეს. ორი კარგი მეკარე ერთ გუნდში ვერ იქნებოდა, ან ერთი დაიჩაგრებოდა ან მეორე და კავაზაშვილიც მოსკოვის „ტორპედოში“ გადავიდა.

— მაშინ რა პრინციპით ხდებოდა საუკეთესოს შერჩევა? მწვრთნელი ორივე მეკარეს აძლევდა შანსს და მერე მათ შეცდომების ითვლიდა?

— შეცდომა ყველას მოსდის და თუ ერთი-ორი შეცდომის გამო მეკარეს ძირითადიდან ამოაგდებ, ის თავდაჯერებულობას კარგავს. თუ მეკარეს ენდობი, ბოლომდე უნდა ენდო.

— 60-იან წლებთან შედარებით ახლა მეკარის ფუნქციები გაიზარდა და ალბათ ახლა უფრო რთულია მეკარეობა...

— ლევ იაშინს შეეძლო ფეხით კარგად თამაში, ამ მეკარეს ყველაფერი ჰქონდა, ფეხით ისე თამაშობდა, როგორც ახლა ვან დერ სარი. „დინამოს“ დუბლებში რამდენჯერმე შეტევაშიც წავსულვარ და სამი გოლიც გავიტანე, ხოლო ერთხელ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მცველადაც ვითამაშე — 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსტა რიკაში ვემზადებოდით. კოსტა რიკის ნაკრებთან ორი მატჩი უნდა გვეთამაშა და მეორე მატჩისთვის მწვრთნელმა რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა — ამის გამო მომიხდა მცველად თამაში. საგოლე გადაცემა შევასრულე, მერე კარში ჩავდექი, კოსტარიკელებმა არ იცოდნენ, მეკარე რომ ვიყავი და შორიდან ბევრს ურტყამდნენ. მეორე დღეს იქაურ გაზეთებში დაიწერა, საბჭოთა კავშირს ძალიან მაგარი გუნდი ჰყავს, ყველას შეუძლია იყოს მეკარეც, მცველიც და ფორვარდიცო.

— 1962 წელი თქვენს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

— საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ დამასახელეს, ხოლო სამხრეთამერიკელი ჟურნალისტების გამოკითხვით, მსოფლიოს ათ საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოვხვდი. ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მატჩში იაშინი იდგა კარში, მაგრამ იმავ წელს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს სამხრეთ ამერიკაში ტურნე ჰქონდა, რომელშიც ექვსი მატჩი ვითამაშე და ალბათ ამის გამოც დავიმსახურე იქაურ ჟურნალისტთა ყურადღება.

— რა იყო თქვენი, როგორც მეკარის საუკეთესო თვისება?

— სისწრაფე. კარიდან გამოსვლას და მეტოქის ფეხებში ჩახტომას სისწრაფე სჭირდება, თანაც ტანმაღალი არ ვარ და რომ არა სისწრაფე, მეკარეობას ვერ შევძლებდი. თქვით, მეკარეობა ახლა უფრო რთულიაო, მაგრამ ისიცაა, რომ მაშინ უფრო მეტი სივრცე იყო კართან, უფრო მეტი დერეფნები იქმნებოდა, რადგან ახლანდელივით მჭიდრო დაცვა არ იყო. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ახლა მეკარე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა გუნდისთვის, მეკარეებისთვის ცალკე მწვრთნელიც ამიტომ გახდა აუცილებელი, ახლა უფრო მეტი ფლანგური ჩაწოდებებია და მეკარე ტანმაღალიც უნდა იყოს.

— „დინამოდან“ 1967 წელს წახვედით და მერე ისევ დაბრუნდით...

— 1967 წელს თამაშისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, მაგრამ მთხოვეს, ქუთაისის „ტორპედოს“ დავხმარებოდი და სეზონნახევარი კიდევ ვითამაშე. შემდეგ ისევ „დინამოში“ მიმიწვიეს, მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი გივი ჩოხელი იყო. სწორედ იმ პერიოდში მოვძებნე ახალგაზრდა მეკარე სტეფანია, მას დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ 20 წლისა დაიღუპა ავტოავარიაში.

— 1962 წლის საუკეთესო საბჭოთა მეკარე, 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — ტიტულების გარდა იყო გაწბილებაც...

— ყველაზე დიდი გაწბილება იყო ის, რომ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში 1960 წელს მოსკოვის „ტორპედოსთან“ 3:4 წავაგეთ.

— ბოლო ოცი წელი საქართველოში მაღალი კლასის მეკარე რომ არ ჩანს, რას დააბრალებდით?

— მაღალი კლასის მეკარეები რომ გამოჩნდნენ, მაღალი დონის გუნდები უნდა გვყავდეს.

— 70 წლის იუბილეს როგორ აღნიშნავთ?

— ვიწრო წრეში, უნივერსიტეტის მეგობრებთან და იმ ხალხთან, ვისთანაც ფეხბურთს ვთამაშობდი. ჩემი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ მემღერება და არ მეცეკვება. ახლაც ფეხბურთით ვცხოვრობ და რომ არა ფეხბურთი, ყველაფერი ძალიან მძიმე იქნებოდა.

**დავით თავართქილაძე**

## ჩვენი მეტოქეები

# პატარა დიდი ლიტვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლიტვა** ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს ქართველები ამ სეზონში ხვდებიან. თუმცა რაღა ამ სეზონში, 21-წლამდელთა ევროშესარჩევი მატჩი რამდენიმე დღეში, 16 აგვისტოს კაუნასში ჩატარდება.

„პატარა“ ლიტველები რალფ მინგეს გუნდს ამ შემადგენლობით დაუხვდებიან: არტურ სემეში (ვილნიუსი), ანდრიუს სოკოლოვასი (ვილნიუსი), მინდაუგას პანკა (ვილნიუსი), ვიტაუტას ლუკშა (ვილნიუსი), ანდრიუს ბარტკუსი (ატლანტასი), კაზიმიერსა გნედოუსი (ატლანტასი), დარიუს რამონასი (ატლანტასი), დარვიუდას სერნასი (ვეტრა), ედვინას ბლაზისი (ვეტრა), რობერტას ვეზევიჩიუსი (ვეტრა), ერნესტას სეტკუსი (ჟალგირისი), ტადას ლაბუკასი (ჟალგირისი), საულიუს კლევინსკასი (სუდუვა), ვაიდას სლავიცკასი (სუდუვა), კესტუტის ივაშკევიციუსი (კაუნასი), ლინას პილიბაიტისი (კაუნასი), ლაურენას რიმავიჩიუსი (წევეჟისი), მარიუს ჩინიკასი (ნევეჟისი), ანდრიუს სიდლაუსკასი (შაულიაი), ანდრიუს ურბსუში (სუდუვა), მინდაუგას კალონასი (მეტალურგსი, ლატვია), გიუდრიუს ტომკევიჩიუსი (ეკრანასი), მინდაუგას პალიონისი (ვოკიეტია), ედვალდას რაზიულისი (სამარა, რუსეთი).

მატჩს ფინელი მსაჯები — პეტერ კარი, იუკო იკონენი, ტეიო კოტინურმი და იოუნი ჰიიტია მოემსახურებიან. მსაჯთა დამკვირვებელი სლოვაკი იურაი ობლოჟინსკი იქნება, ხოლო უეფას დელეგატი — ესტონელი უნო ტუკტი.

შეგახსენებთ, რომ 3 სექტემბერს ქართველი 21-წლამდელები ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში სერბებს უმასპინძლებენ.

ამასობაში ლიტვის ეროვნული ნაკრები მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. ევრო 2008-ის შესარჩევში ჩვენი მეტოქეები კიშინიოვში 16 აგვისტოს გაეჯიბრებიან მასპინძლებს.

ალგიმანტას ლიუბინსკასმა საამხანაგო მატჩოდ 21 ფეხბურთელს უხმო...

**მეკარეები**: ჟილრუნას კარჩემარსკასი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი), არვიდას კაცინკევიჩიუსი (ვეტრა);

**მცველები**: მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს სკერლა(ტომი, რუსეთი), როლანდას ჯიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმშტადი, შვედეთი), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი);

**ნახევარმცველები**: ნერიუს ვასილიუსკასი (ტავრია, უკრაინა), დეივიდას ჩესნაუსკისი (ჰართსი, შოტლანდია), მანტას სავენასი (ეკრანასი), მარიუს ზალიუკასი (კაუნასი), ანდრიუს გედგაუდასი (ატლანტასი), ტომას რაძინევიჩიუსი (ლიბერეცი, ჩეხეთი), ვიტალიუს კავალიუსკასი (ეკრანასი), მიკოლიუნას საულიუსი (ჰართსი, შოტლანდია);

**თავდამსხმელები**: რობერტას პოშკუსი (ზენიტი, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (ლივორნო, იტალია), ანდრიუს ველიჩკა (კაუნასი), პოვილას ლუშკუსი (ეკრანასი).

აქვე გეტყვით, რომ საქართველო ლიტვას გაისად, 2 ივნისს სტუმრობს.

**კახა შალამბერიძე**

# დორასოომ. ნაკრებში ჩემი ფეხი არ იქნებაო

**საფრანგეთის** ნაკრებს ზინედინ ზიდანის, ფაბიენ ბარტეზისა და კლოდ მაკელელეს შემდეგ ვიკაშ დორასოც დაემშვიდობა. ამის თაობაზე პსჟ-ს 32 წლის გამთამაშებელმა „ლე პარიზიენთან“ ინტერვიუში განაცხადა: „კვლავ მსურს თუ არა საფრანგეთის ნაკრებში თამაში? არა. ამიერიდან „ლურჯებში“ ჩემი ფეხი არ იქნება“ — ამბობს დორასო.



დორასოს ნათქვამში გაღიზიანებულ ტონს შეამჩნევდით, თუმც „ლიონის“, „მილანისა“ და ახლა უკვე პსჟ-ს ნახევარმცველს არ დაუკონკრეტებია, რა მიზეზით ტოვებს ნაკრებს. „ლე პარიზიენი“ კი ვარაუდობს, ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან იჩხუბაო.

**გიორგი ვაშაძიძე**

## O, SANCTA SIMPLICITAS!

**რუბრიკა**, რომლის მიზანიც გულუბრყვილობათა გამოაშკარავებაა, კვლავ თქვენს სამსჯავროზეა გულუბრყვილობათა ახალი ულუფით.

თუმცა არა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ახალი სულაც არ არის, წლებია, ხდება. უბრალოდ, საამრუბრიკოდ ახლა გვინდა გამოვიყენოთ.

ბათუმის ცენტრალური სტადიონის გამომცხადებელი ყოველი მატჩის მიწურულს აცხადებს ხოლმე, რომ ნამატჩევს პრესკონფერენცია გაიმართება, რომელზეც მწვრთნელების და ჟურნალისტების დასწრება სავალდებულოა.

პატივცემულ გამომცხადებელს და მას, ვინც გამომცხადებელს ამის გამოცხადებას ავალებს, მივმართავთ: მატჩის შემდეგ პრესკონფერენციის გამართვა და მასზე მწვრთნელების დასწრება სავალდებულოა, მაგრამ ვინ გითხრათ, სად წაიკითხეთ, რომ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე დასწრება უნდა უბრძანოთ?! და რომ არ შემოვიდეთ, დაგვსჯით?

გულახდილად გითხრათ, გულუბრყვილო არა, მაგრამ ჯიუტი კი გახლავართ. პრესკონფერენციაზე დასწრებას სასურველად ვთვლი, მაგრამ როცა მეუბნებიან, უსიკვდილოდ უნდა შემოხვიდეო, სწორედაც რომ არშესვლის სურვილი მიჩნდება.

დღეისთვის ერთი კითხვაც: სად არის „დილას“ მწვრთნელი ოთარ კორღალიძე? ჩვენი გაზეთის მკითხველს ეცოდინება, რომ ის მოსკოვში იყო ვეტერანთა ტურნირზე სათამაშოდ. ძალიანაც კარგი, მაგრამ ამავე დროს ძალიანაც ცუდი: კორღალიძე მოსკოვში ბურთაობდა, მისი „დილა“ კი ამ დროს ჩემპიონატის მატჩში ექვს გოლს უშვებდა...

*პატივისცემით, ავტორი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მინდოდა პრემიერლიგაში?!

## ლონდონში გატეხილი გული კრესპომ ინტერში გაიმთელა



**„ინტერში“** „ჩელსიდან“ დაბრუნებულმა 31 წლის ერნან კრესპომ თქვა, რატომ არჩია „ნეროატურიში“ თამაში „მილანში“ კარიერის გაგრძელებას თუ ჩამთავრებას. ალბათ, გეხსომებათ, არგენტინელის ამასწინანდელი განცხადებაც: „ინტერიცა“ და „მილანიც“ ჩემი ყოფილი გუნდებ ია. მათ შორის არჩევანის გაკეთება მიჭირს. თან, ორივეს ჩემი ყოფილი მწვრთნელი უდგას სათავეში. ასე რომ, უბრალოდ, დაველოდები და გავიგებ, რომელს უფრო ვჭირდები. ეს ფულის ამბავი არ არის, ეს ცხოვრების სტილის ამბავია“.

ახლა კი იმაზე, თუ რა თქვა კრესპომ „ინტერთან“ 2008 წლამდე კონტრაქტის გაფორმების შემდეგ:

„ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა რობერტო მანჩინის, გაბრიელე ორიალის და მარკო ბრანკას. ახლა აქ რომ ვარ, სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა“.

მოგეხსენებათ, კრესპო ლონდონის „ჩელსიში“ 16 მილიონ 800 ათასი ევროს სანაცვლოდ 2003 წელს გადავიდა, მაგრამ გუნდის ძირითადში ადგილის დამკვიდრება ძალიან გაუჭირდა:

„ახლა რომ ვუფიქრდები, მაშინ პრემიერლიგაში სათამაშოდ ნალდად არ უნდა წავსულიყავი, თან ვერც ლონდონური ცხოვრების წესს შევეგუე. მაშინ „ინტერს“ რომ ვტოვებდი, გული გატეხილი მქონდა, მაგრამ ვერაფერს შევცვლიდი, ჩემი ტრანსფერი ერთობ მოულოდნელად გადაწყდა. მითხრეს, ყველაფერი შეთანხმებულია და ლონდონში უნდა წახვიდეო. მეც წავედი“.

და, რატომ მაინც და მაინც „ინტერი“ და არა „მილანი“, სადაც ერთი წელი იჯარით ჰყავდა „ჩელსის“ განათხოვრებული, სადაც „როსონერის“ ტიფოზთა უსაზღვრო სიყვარული და სითბო დაიმსახურა და სადაც „მილანისთვის“ იმ ავადმოსაგონარ, 2005 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში ორი გოლი გაიტანა?

„მართალია, „მილანიდანაც“ დამიკავშირდნენ, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, ისინი უფრო „იუვედან“ ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერზე მუშაობენ და შედეგად, მოლაპარაკება არც გაგრძელებულა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, „მილანზე“ ნაწყენი ნალდად არ ვარ, ეს კლუბი ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ, იქ ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ და არაჩვეულებრივი ქომაგებიც ჰყავს, მაგრამ მე ახლა „ინტერის“ ფეხბურთელი ვარ და ვალდებულიც ვარ, ამ გუნდისთვის მაქსიმუმი გავიღო“.

**გიორგი ვაშაკიძე**



# ზლა-ტანით იუვეში, ფეხებით მილანში

**„ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ჯერაც „იუვენტუსის“ ფეხბურთელია, მაგრამ თუ მას წასვლა ნალდად უნდა, დაე, წავიდეს“ — ეს განცხადება გუშინ, ტურინული კლუბის პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ „გაძეტა დელო სპორტთან“ მცირე ინტერვიუში გააკეთა.

პრეზიდენტმა იქვე, შვედი ფორვარდის მოსურნე კლუბები ახსენა. ლაპარაკია, „მილანზე“ და „ინტერზე“, მაგრამ ვინაიდან „შავ-ლურჯებმა“ ორშაბათს „ჩელსიდან“ 31 წლის არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო გადაიყვანეს, იბრაჰიმოვიჩი ამჯერად „მილანს“ დარჩებაო, გვამცნობს გაზეთი.

„იუვესა“ და „მილანის“ შეფობა ზლატანის სატრანსფერო ფასზე უკვე შეთანხმდა, შეთანხმებით კმაყოფილია ფეხბურთელის აგენტი მინო რიოლაც, ახლა მხოლოდ იბრაჰიმოვიჩის ხელმოწერაა საჭირო“ — ვკითხულობთ „გაძეტა დელო სპორტში“.

25 მილიონი ევრო — სწორედ ამ თანხაზეა ლაპარაკი, არადა, „იუვეს“ გენერალურ დირექტორ ჟან კლოდ ბლანის თქმით, 28 მილიონს ცენტიც არ უნდა დაკლებოდა, მაგრამ...

24 წლის ზლატან იბრაჰიმოვიჩი „იუვენტუსში“ ორი წლის წინ გადავიდა ამსტერდამის „აიაქსიდან“ 11 მილიონ 500 ათას ევროდ და წლიურ ხელფასად 3 მილიონ 100 ათასს იჯიბავდა, „მილანი“ კი 5 მილიონს ჰპირდება, ანდრეი შევჩენკოს იდეალური შემცვლელი სწორედ შენ იქნებიო.

ერთი სიტყვით, ასეა. იტალიური მე[illegible]ის ცნობით „იბრა“ „მილანში“ გ[illegible]ასვლასთან ძალიან ახლოსაა და შეიძლება ეს ტრანსფერი დღესვ[illegible] გაიჩარხოს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# დიდა, რამდენი წლის ყოფილხარ!

## ნელსონს სამშობლო უხმობს



**„მილანს“** შესაძლოა, ბრაზილიელი მეკარე ნელსონ დიდა გაეყაროს. საქმე ისაა, რომ 33 წლის გოლკიპერს „კორინთიანსი“ ეპატიჟება, უკვე ასაკში ხარ, ევროპაში თითქმის ყველაფერი მოიგე, ჩამოდი, კარიერა აქ ჩაამთავრეო.

გეხსომებათ, დიდას „მილანთან“ კონტრაქტი 2007 წლის 30 ივნისამდე აქვს, მის გახანგრძლივებას კი, მიუხედავად „როსონერის“ ხელმძღვანელთა არაერთხელ შეთავაზებისა, არ აპირებს და, აქედან გამომდინარე, „მილანი“ ეგებ დათანხმდეს კიდეც მის სარფიანად გაყიდვას. მით უმეტეს, „შავ-წითელთა“ შეფობას სერია B-ში გაგდებული „იუვენტუსიდან“ ჯანლუიჯი ბუფონის გადაყვანა სურს.

ბრაზილიის ნაკრების კარის დარაჯი „მილანში“ ჯერ კიდევ 1999 წელს გადავიდა „კრუზეიროდან“, მაგრამ იმხანად „როსონერის“ კარს სებასტიანო როსი იცავდა და დიდაც თითო წლით ჯერ „კორინთიანსს“ ათხოვა, შემდეგ შვეიცარიულ „ლუგანოს“. მერე კი, ანუ 2001 წელს, როცა როსიმ თამაშს თავი დაანება, ბრაზილიელიც „სან სიროზე“ დაბრუნდა, კრისტიან აბიატის პირველმეკარეობა წაართვა და მას შემდეგ დგას და დგას ორ ძელს შუა.

„მილანს“, თუ დიდას შეელია, ბუფონის გადმოყვანის ასეთი გეგმა აქვს შემუშავებული: „ლივორნოდან“ „იუვესთვის“ აგრერიგ სასურველი მარკო ამელია იყიდოს და თანხასთან ერთად მაშინვე გაამგზავროს ტურინს, ხოლო „ლივორნოს“ კი ამ ზაფხულს „ასკოლიდან“ ნაყიდი ფერდინანდო კოპოლა დაუთმოს.

ერთი სიტყვით, გადაწყვეტილი ჯერ მართლაც არაფერია, წავა თუ არა დიდა და მოვა თუ არა ბუფონი, მაგრამ გადაწყვეტილი ერთია, დღეს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ „მილანის“ კარს სწორედ ბრაზილიელი დაიცავს.

**გიორგი ვაშაკიძე**




ლილო ფოტი

# ამ სერიაში კიდევ ერთი თავი გაგორდება

**კიდევ ერთი** გუნდი შეიძლება ჩააყუდონ სერია B-ში. ეს გუნდი, ალბათ, „რეჯინა“ იქნება, რომელსაც პროკურორმა სტეფანო პალაციმ ოფიციალურად წაუყენა ბრალი.

ეჭვობენ, რომ 2004-2005 წლების სეზონში „რეჯინას“ ექვსი მატჩი გარიგებული შედეგით დამთავრდა. ეს მატჩებია: „რეჯინა“ — „ბრეშა“ 1:3; „რეჯინა“ — „კალიარი“ 3:2; „რეჯინა“ — „პალერმო“ 1:0; „რეჯინა“ — „უდინეზე“ 2:0; „რეჯინა“ — „კალიარი“3:2; „რეჯინა“ — „სამპდორა“ 2:3 და „პალერმო“ — „რეჯინა“ 1:1.

კლუბის პრეზიდენტი ლილო ფოტიც ოფიციალურად ბრალდებულია, ისევე, როგორც მსაჯების გამანაწილებელი პაოლო ბერგამო და მსაჯები: პიერი და დონდარინი.

იტალიური მედიის ცნობით, სასამართლო მომავალ კვირაში გაიმართება. ჯერჯერობით უცნობია, თუ რას მოითხოვს პროკურორი. სავარაუდოდ, „რეჯინას“ გააგდებენ სერია B-ში და მის ნაცვლად, A-ში „ლეჩე“ ითამაშებს, თუმცა პრეტენზია „ბრეშამაც“ გამოთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რიბერის გზა

## ფრანგული ხარები: წადი არსენალში

**ამ კვირაში** „არსენალი" ყველანაირად ეცდება, რომ საბოლოოდ გადმოიბიროს ფრანკ რიბერი და ამაში 13,5 მილიონი გადაუხადოს მარსელის „ოლიმპიკს".

თავად რიბერის შინაკაცთაგან ცნობილია, რომ ჯერჯერობით საქმე გაჩარხული არ არის. მისმა აგენტმა ბრუნო ჰედერბილდმა თქვა, რომ ყველაფერი „ოლიმპიკის" თავმჯდომარის, პაპე დიუფის ხელშია და მაქსიმუმ ორ დღეში ყველაფერი გაირკვევა. არსენ ვენგერის ახლო ხალხი კი აცხადებს, რომ რიბერი „ემბარტონ გროუვზე" ითამაშებს.

რიბერის ყიდვა ერთგვარად დაკავშირებულია ეშლი კოულის გაყიდვასთან. „ჩელსი" მასში 25 მილიონ გირვანქას იხდის. თუმცა, საქმე აქაც გაურკვეველია.

„არ ვიცი, რა მოხდება — თქვა ვენგერმა — ეშლის საქმე დასასრულს უახლოვდება. ამ კვირაში რაღაც უნდა გადაწყდეს. საერთოდ, მე ისეთი ფეხბურთელები მჭირდება, ვინც იმ თამაშს თამაშობს, რომელიც მე მიყვარს. წამსვლელს წასვლა შეუძლია".

თავად რიბერის კი თურმე მიაჩნია, რომ ვენგერის ხელქვეით მუშაობა საუკეთესო რამაა მისთვის. მთელი ამ დღეების განმავლობაში მას ბევრი ხალხი ურეკავდა: მათ შორის ტიერი ანრი და ვენგერის ძველი მეგობარი, „მონაკოსა" და „მარსელის" ყოფილი დიდმოხელე ანრი ბანშერი. ყველანი გადასვლას ურჩევდნენ. თავად ვენგერი კი, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, რიბერის სისწრაფითაა აღტაცებული.

**ირაკლი გამყრელიძე**



# დასვენილი ყასაბი ოლდ ტრეფორდზე

**„მანჩესტერმა"** 4 მილიონი გირვანქა შესთავაზა „ვილიარეალს" და ნახევარმცველ მარკუს სენასთან საუბრის უფლებაც მიიღო.

აშკარაა, რომ 30 წლის სენა ამ კვირაშივე ალისფერ სამოსს მოირგებს და პარასკევს „ოლდ ტრეფორდზე" დაგეგმილი ღია ვარჯიშისას გუნდში იქნება.

სერ ალექსს სენა მსოფლიო თასზე მოსწონებია და თან ყველამაც იცის, რომ ის მამაცი ფეხბურთელია: ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ინტერთან" ის ფეხებშუა დაწიხლეს და საზარდულიდან სისხლიც სდიოდა, მაგრამ მოედანზე დარჩა. თავად სენაც კაი მაგარი მოჯარიმეა.

სენასთვის სამაგალითო ფეხბურთელი დუნგა ყოფილა: „მან იცოდა როგორ აეღო თამაშის სადავეები და ჯარიმებიც ჭკვიანური ეხერხებოდა. ვირობა სისულელეა, მაგრამ კაცის წაქცევა უნდა იცოდე, მეტოქის ტემპის დაგდება უნდა შეგეძლოს. ინგლისელი მსაჯები საუკეთესონი არიან. იმ სტილს, რომელსაც მე მივდევ, ისინი ავი თვალით არ უყურებენ".

ორი წლის წინათ, სენა დოპინგზეც ჩავარდა და 60-დღიანი სასჯელიც ერგო. თუმცაა: „ვინც მე მიცნობს, იცის, რომ ეს უწყინარი შეცდომა იყო" — ამბობს ფეხბურთელი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კომიქსური სიტუაცია

## ჯერ აგერო იყო კუნი, მერე კუნი გახდა აგერო



*როცა სერხიო აგერომ „ინდეპენდიენტეს" ფორმით არგენტინის უმაღლეს დივიზიონში პირველად ითამაშა, 15 წლის იყო. პატარა ბიჭის საოცარი სისწრაფითა და სიმარჯვით განცვიფრებულმა პატაგონიელებმა მას იაპონური კომიქსების გმირის სახელი, „კუნი" შეარქვეს. დღეს 18 წლის აგერო უკვე მადრიდის „ატლეტიკოშია" და ახლა ევროპის დაპყრობას აპირებს.*

*„ატლეტიკოს" ერთობ ძლიერი თავდასხმის ხაზი ჰყავს — თავად აგერო, მატეა კეჟმანი, მიგელ ანხელ მისტა და, რა თქმა უნდა, ფერნანდო ტორესი, განთქმული „ელ ნინიო". ჩინეთში სეზონისწინა ტურნეზე მყოფ აგეროს მადრიდული „ასის" ჟურნალისტი გაესაუბრა*



— სეზონათაშორისის შესახებ რას გვეტყვით?

— ყველაფერი კარგად მიდის. სამი კვირაა, ერთად ვემზადებით და ბიჭები კარგად თამაშობენ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

— „ატლეტიკოზე" რას ფიქრობთ?

— დიდი გუნდია, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს. კმაყოფილი ვარ აქ ყოფნით.

— **მადრიდულ კლუბს თავდასხმაში თქვენს გარდა კეჟმანი, ტორესი და მისტა ჰყავს, რაც ძლიერ კონკურენციას ქმნის...**

— ოთხივე ფორვარდი ძლიერები ვართ, ხოლო ვინ ითამაშებს, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუ ფორმაში ვიქნები, მოედანზე ხავიერ აგირე მე გამომიყვანს, თუ არა და, მაშინ სხვები იბურთავებენ.

— **რამ გაფიქრებინათ „ინდეპენდიენტედიდან" „ატლეტიკოში" გადმოსვლა?**

— მინდა, დიდი გუნდის შემადგენლობაში დიდი ჯილდოები მოვიგო.

— **ჩინურ „შენჟუასთან" ამხანაგურ მატჩში სათადარიგოებში იჯექით. გამორიცხული არ არის, რომ ესპანური პრიმერას ზოგიერთ თამაშშიც ასე მოხდეს. სათადარიგო სკამიდან მატჩების ყურება თქვენთვის მძიმე დარტყმა იქნება?**

— მე ისეთივე ვარ, როგორიც ყველა ფეხბურთელი. მუშაობა და გუნდში ადგილის დამკვიდრება მსურს. „ატლეტიკოს" მაგარი მოთამაშეები ჰყავს, ხოლო კონკურენცია ყველაზე კარგად მოქმედებს. ბოლოს და ბოლოს თუ არ ვითამაშებ, ვარჯიშებზე თანაგუნდელებს დავეხმარები.

— **არგენტინაში დიეგო მარადონას გადარებენ...**

— მე მხოლოდ სერხიო აგერო ვარ. დიეგო კი განუმეორებელი იყო და ყოველთვის ასეთად დარჩება. ესპანეთში იმას გავაკეთებ, რაც ვიცი და იმედია, ჩემი გოლების შემხედვარე ფანებს „კუნ" აგერო სხვა ფეხბურთელებში არ აერევათ.

— **აგრეთვე უყვართ თქვენი შედარება ბარსელონელ ლეო მესისთან...**

— ჩვენ განსახვებული ფეხბურთელები ვართ. ის თავის ფეხბურთს თამაშობს, მე კი — ჩემსას. ორივენი ვცდილობთ, საქმე კარგად ვაკეთოთ.

— **აგეროს „ვისენტე კალდერონზე" გადმოსვლა „ატლეტიკოს" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ტრანსფერია...**

— კლუბმა ჩემში, მართლაც, ბევრი ფული დახარჯა და ვეცდები, „ატლეტიკოს" ეს მოედანზე კარგი თამაშით ავუნაზღაურო.

— **ახალ გუნდში მოთამაშე თანამემამულეებთან რანაირი ურთიერთობა გაქვთ?**

— მაქსი როდრიგესი, ლეო ფრანკო, პერნია მაგარი ბიჭები არიან და როგორც უმცროს ძმას, ისე მეპყრობიან.

— **მომავალ სეზონში „ატლეტიკოს" რა მიზანი ექნება?**

— ვფიქრობ, „ატლეტიკომ" კარგად უნდა ითამაშოს და ეგებ ესპანური პრიმერადივიზიონიც მოვიგოთ.

— **ანუ თქვენი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?**

— ჯერ ჩემი გუნდთან ადაპტირების პროცესი მიმდინარეობს. თუ ეს კარგად მოვახერხე, „ატლეტიკოს" მომავალ ფიესტაში „დამნაშავე" მეც ვიქნები.

— **სეზონათაშორისის პერიოდში უკვე რამდენიმე ძალიან ლამაზი გოლი შეაგდეთ...**

— რასაკვირველია, მომწონს, როცა ლამაზი გოლები გამაქვს, თუმცა, ოღონდ „ატლეტიკომ" მოიგოს და ბურთები სხვებმა შეყარონ, რა მნიშვნელობა აქვს. ვნახოთ, პრიმერაში რა მოხდება. ძლიერი შემადგენლობა გვყავს და უცნაური იქნება, საპრიზო ადგილებს თუ ვერ მივაღწევთ.

— **უკვე წინასწარ გეგმავთ, 2006-07-ის სეზონში რამდენ გოლს გაიტანთ?**

— არა, „ატლეტიკოს" მეგოლეები საკმარისად ჰყავს და, როგორც გითხარით, საწინააღმდეგ არაფერი მექნება, მეტოქეთა მეკარეები სხვებმა რომ გაამწარონ.

— **„ატლეტიკოს" რომელმა ფეხბურთელმა მიიპყრო თქვენი ყურადღება?**

— ფერნანდო ტორესმა თავისი სისწრაფით და ფიზიკური ძალით გამაკვირვა.

— **კომიქსების პერსონაჟ „კუნის" ავტორმა თავის გმირს ახლა სერხიო აგეროს სახე მისცა. ამჯერად „კუნი" გახდა აგერო და არა პირიქით...**

— მინდა, ამ ადამიანს დიდი მადლობა ვუთხრა. „კუნი" ჯერ ბავშვობაში შემარქვეს (კომიქსების გმირივით ოთახში ყველაფერს ვამტვრევდი), მერე კი „ინდეპენდიენტეს" ფანებმა ხელახლა მომნათლეს ამ სახელით — სწრაფ აგეროსთან თამაშის მერე მეტოქეს პირში სული აღარ უდგასო...

202 ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

### III საკვალიფიკაციო ეტაპი პირველი მატჩები. დღეს

ლევსკი (ბულგარეთი) — კიევო (იტალია)
სპარტაკი (რუსეთი) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
შახტარი (უკრაინა) — ლეგია (პოლონეთი)
ზალცბურგი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი)
ჰართსი (შოტლანდია) — აეკ (საბერძნეთი)
ცსკა (რუსეთი) — რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)
მილანი (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
გალათასარაი (თურქეთი) — ბოლესლავი (ჩეხეთი)
სტანდარდი (ბელგია) — სტიაუა (რუმინეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — აიაქსი (ჰოლანდია)
ჰამბურგი (გერმანია) — ოსასუნა (ესპანეთი)
დინამო (უკრაინა) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ლივერპული (ინგლისი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ლილი (საფრანგეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია)

# კოსტაკურტული ხუმრობა:

## ვითამაშოთ კალათბურთი ჟიგიჩით და კალაჩით



**ლიტველი** ვლადიმირ რომანოვის ფულით წელში გამართული „ჰართსი“ დარწმუნებულია, რომ ბერძნულ აეკ-ს ალიყურსააკრავს ანუ დიდი ანგარიშით დაამარცხებს და საპასუხო მატჩისთვის გვარიან მარაგს შეიქმნის. ზოგადად კი, „ჰართსი“ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს თუ გაივლის, მესამე შოტლანდიური გუნდი გახდება, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. აქამდე ეს მხოლოდ „სელტიკს“ და „რეინჯერსს“ მოუხერხებიათ.

ედინბურგელებმა მეორე საკვალიფიკაციოში ბოსნიურ „შიროკი ბრიაგის“ აჯობეს, გასულ უქმეებზე კი ჩემპიონატში თვით „სელტიკი“ დააჩოქეს 2:1.

„ჰართსი“, საკუთარი სტადიონის მცირე ტევადობის გამო, აეკ-ს მეზობელ „მარიფილდის“ სტადიონზე დაუხვდება და 30 ათასამდე ქომაგი ეყოლება.

„ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის კარგი შანსი გვაქვს — თქვა ჰართსელთა კაპიტანმა სტივენ პრესლიმ — ცხადია, ფავორიტად აეკ-ს მიიჩნევენ, მაგრამ ჩვენ „სელტიკის“ ძლევით ძალა და რწმენა შეგვემატა“.

რას ფიქრობენ აეკელები? კლუბის პრეზიდენტი დემის ნიკოლაიდისი: „ფინანსურად გვიჭირს. თუკი რამ ფული მქონდა, იმისთვის დავხარჯე, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ და ბიუჯეტი შევავსოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უდიდესი პრობლემები შეგვექმნება.“ შეგახსენებთ, რომ ბერძნულ გუნდს „ბარსელონას“ ყოფილი თავკაცი ლორენსო სერა ფერერი წვრთნის.

ესპანური „ოსასუნა“, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში არასოდეს უთამაშია, „ჰამბურგს“ სტუმრობს. თავის მხრივ, ჰამბურგელები მთავარი ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ბოლოს 2001-ში იყვნენ. თომას დოლის გუნდმა გასულ შაბათს ამხანაგურ მატჩში „რომას“ 1:0 მოუგო და მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ესპანელებსაც დაამარცხებენ. „ოსასუნაში“ თამაშობს არგენტინელი ფორვარდი ბერნარდო რომეო, რომელიც თავის დროზე „ჰამბურგის“ მეგოლე იყო. „აოლ-არენაზე“ თამაში ძნელია, მაგრამ ფრეს თუ მივაღწევთ, საპასუხო მატჩში კარგი შანსები გვექნება“ — განაცხადა რომეომ.

„ლივერპული“ ჰაიფას „მაკაბის“ უმასპინძლებს. „მაკაბი“ პირველი ებრაული გუნდია, რომელმაც 2002-ში ჩემპიონთა ლიგის კარი შეაღო და ჯგუფურ ეტაპზე თვით „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხა შინ 3:0. თუმც მანჩესტერელები მერვედფინალში იყვნენ უკვე გასულები და ისრაელში ძირითადი შემადგენლობა არ ჩაიყვანეს. რაფაელ ბენიტესი „ვალენსიას“ მწვრთნელობისასაც გადაჰყრია „მაკაბის“ ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე 2003-ში და ორი მატჩის ჯამში 4:0 მოუგია.

მილანში „სან-სიროზე“ კი „ცრცვენა ზვეზდა“ ჩავა აყლაყუდა (2 მეტრი და 2 სანტიმეტრი) ფორვარდით, ნიკოლა ჟიგიჩით, რომლის დევნაც 40 წლის ალესანდრო კოსტაკურტას მოუწევს. კოსტაკურტამ იხუმრა, დაცვაში ჩვენი ავსტრალიელი მეკარე ჟელკო კალაჩი დავაყენოთ, ჟიგიჩის სიმაღლეა და ის დაიჭერსო.

**გიორგი დარჯანია**

# პორტიგოლი და ტარაგონა



**ხავიერ პორტილიო** მომავალი ორი სეზონის განმავლობაში ტარაგონას „ხიმნასტიკში“ ითამაშებს. „პორტიგოლმა“ მადრიდის „რეალი“ სატრანსფერო წესების სრული დაცვით დატოვა და არა იჯარით, როგორც წინა სეზონებში ხდებოდა. თუმცა, ხელშეკრულების მიხედვით, სამეფო გუნდს თავისი ფორვარდის უკან გამოსყიდვა შეუძლია — იმ შემთხვევაში, თუ პორტილიო პრიმერას მატჩებში თავის გამოჩენას მოახერხებს.

„ხიმნასტიკში“ იმედით მივდივარ, თუმცა „რეალთან“ განშორება მეძნელება. აქ ხომ 14 წელიწადი გავატარე“ — უთხრა ხავიერ პორტილიომ ჟურნალისტებს.

24 წლის ფეხბურთელმა ფრანგული „მონაკოს“ წინადადებაზე უარი თქვა, ესპანეთში დარჩენა სურდა.

პორტილიოს ტრანსფერი პრაქტიკულად, „ხიმნასტიკის“ პრეზიდენტმა ხოსეპ პარია ანდრეუმ გააზერხა. პრიმერაში წლეულს გადმოსული გუნდის თავკაცი ხავიერის ფანი ყოფილა და ბოლომდე იბრძოლა ფავორიტი ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად.

ოღონდ „რეალმა“ წინასწარ დაიზღვია თავი „პორტიგოლის“ ხიფათიდან — კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, პორტილიო ჩემპიონატში კასტილიური გრანდის წინააღმდეგ არ ითამაშებს.

ხავიერი გუშინ „რეალს“ თავისებურად დაემშვიდობა — ბოლო ვარჯიშზე ორმხრივი თამაშის ლამაზი გოლი გაიტანა.

**ლადო ხომერიკი**

# რეალში უნდა




**ეს ფოტო** გაზაფხულზე „რეალი“-„არსენალის“ მატჩის, წინაა გადაღებული, მაგრამ ინგლისში ძალიან არ უყვართ, როცა ჯერ არ გადასულხარ და უკვე სხვის მაისურს ირგებ.

ხოსე ანტონიო რეიესი ესპანურ გაზეთებს ინტერვიუებს აძლევს, სადაც აცხადებს, რომ „არსენალში“ ყოფნით უკმაყოფილოა და „რეალში“ უნდა.

„ვესტ ჰემის“ ფანებმა დღემდე არ აპატიეს პოლ ინსს „მანჩესტერის“ მაისურით სახალხოდ გამოჩენა.

რეიესის მიერ წამოწყებული პიარკამპანია ძნელად მოიტანს რაიმე შედეგს. „რეალის“ მცველმა სერხო რამოსმა თქვა: „ხოხმაც ის იქნება, რომ გადმოვიდეს...“

# ვიქტორის სამწლიანი




**„დეპორტივოს“** და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ვიქტორი „პანათინაიკოსში“ გადავიდა. 30 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ლაკორუნიელებმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, ბერძნულ კლუბთან სამწლიან გარიგებაზე მოაწერა ხელი. წელიწადში კი დაახლოებით ერთ მილიონ ევროს მიიღებს.

ვიქტორი იყო მადრიდის „რეალის“ მოთამაშე, როცა „სამეფო კლუბმა“ 1998-ში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ესპანეთის ნაკრებში მისი დებიუტი ექვსი წლის წინ ჰანოვერში, გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში შედგა, ბოლოს კი ეროვნულ გუნდში 2004-ის ოქტომბერში, ლიტვასთან შეხვედრისთვის უხმეს.

„პანათინაიკოსმა“ ესპანეთიდან სხვა ფეხბურთელიც, მალაგელი რიკარდო ბოვიოც წაიყვანა. ბრაზილიელი ნახევარმცველი ბერძნებმა ერთი წლით ითხოვეს, „მალაგა“ კი, შეგახსენებთ, რომ პრიმერადივიზიონიდან გავარდა.

**პაპუნა ბედია**

# პროფესია: მუდმივი დროებითი

## კობელევმა 100 მილიონი დახრჩობას უნდა გადაარჩინოს



**მოსკოვის** „დინამოს“ დროებით მწვრთნელად ამავე გუნდის ყოფილი კაპიტანი ანდრეი კობელევი დანიშნეს. მან იური სიომინი შეცვალა, რომელიც გასულ პარასკევს „ტორპედოსთან“ 0:3 მარცხის შემდეგ გადადგა.

კობელევს, შეიძლება ითქვას, დროებით მწვრთნელობის გამოცდილება აქვს. იგი შარშან ორჯერ იყო ამ როლში.

„დინამოს“ პატრონმა ალექსეი ფედორიჩევმა ბოლო წლების განმავლობაში გუნდს დაახლოებით 100 მილიონი დოლარი დაახარჯა, ლეგიონერები უყიდა, მწვრთნელები ცვალა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. საქმე ისე შემობრუნდა, რომ „დინამო“ გავარდნის პირასაა. გუნდი ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა და 15 მატჩში მხოლოდ ერთი მოიგო. ანდრეი კობელევმა ვითარება უნდა გამოასწოროს და შეეცადოს, „დინამო“ პრემიერლიგაში დატოვოს.

**ირაკლი ნინიძე**

# კარლეს პუიოლი: არავითარი პუიოლი

## ჰოლივუდმა ბარსელონა ჩაიცვა



კარლეს პუიოლი „ბარსელონას“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო (თუ ყველაზე საუკეთესო არა) შემადგენლობის კაპიტანი გახლავთ. იგი მოედანზე და მის გარეთ ნამდვილი ლიდერია. თანაგუნდელები და მეტოქეები ერთნაირად სცემენ პატივს. კაპიტნის სიტყვა კანონია. სეზონთაშორისის ტურნეში მყოფ პუიოლს ლოს ანჯელესში კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— „ბარსას“ ძირითადში 1999-2000-ის სეზონიდან თამაშობთ. 2002 წლამდე მცირეხელფასიან ფეხბურთელად ითვლებოდით, ხოლო ჯილდოები 2005-მდე არ მოგიგიათ. რამ უფრო შეცვალა კარლეს პუიოლის ცხოვრება, ახალმა კონტრაქტმა თუ დიდსაფეხბურთო ტიტულების მოპოვებამ?

— ორივე ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, თავს შესანიშნავად გრძნობ, როცა შენს შრომას აფასებენ და შესაბამისად გიხდიან. ტიტულების მოგებაც დიდებული რამაა. ხუთი წელიწადი „ბარსას“ ძირითადში ისე ვითამაშე, ჯილდოები არ მოგვეგო და, არ დაგიმალავთ, უკვე გიჟივით ვიყავი... ფეხბურთელისთვის ჯილდოების მოპოვება მიზანია, ხოლო ჩემი მიზანი მსოფლიოს ფეხბურთის მწვერვალზე „ბარსასთან“ ერთად ასვლა გახლდათ.

— რა შეიცვალა კარლეს პუიოლში, რომელსაც „კამპ ნოუს“ უწინდელი მწვრთნელები, სერა ფერერი და ვან გაალი არ სწყალობდნენ?

— არაფერიც არ შეცვლილა, ყოველდღე ვიბრძვი, რათა ჩემი საქმე უკეთესად გავაკეთო. როცა ბრძოლის სურვილი აღარ მექნება, დიდ ფეხბურთს საერთოდ დავტოვებ.

— გვითხარით, რომ იქამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი...

— იმედია.

— თქვენ „ბარსელონას“ ისტორიაში სხვა დიდი კაპიტნების, სამიტიერის, სესარის, სეგარას, კრუიფის, ასენსის, სუბისარეტასა და ბაკეროს გვერდით ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებთ. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ყველას, ვინც ამ გუნდში ვართ, გვსურს, „ბარსელონას“ დიდი ჯილდოები მოვუტანოთ და ამით შევიდეთ ისტორიაში. ჯერ კიდევ ბევრი თამაში გვაქვს მოსაგები, საშუშაოს გულითადად და მუყაითად უნდა მოვეკიდოთ.

— „ბარსელონას“ ახალ ტრანსფერებს როგორ შეაფასებდით? სეზონთაშორისში უკვე ითამაშეთ მათ მხარდამხარ...

— ნორმალური ბიჭები არიან, რომელთაც მუშაობა და ახალ გუნდთან რაც შეიძლება, სწრაფად შეჩვევა სურთ. გუდიონსენზე ადრეც კარგი აზრის ვიყავი და დღეს ვრწმუნდები, რომ უკეთესად თამაშიც შეუძლია. მოედანზე სწრაფად მოძრაობს, გონიერი მოთამაშეა და ელვის სისწრაფით იღებს გადაწყვეტილებას. გუდიონსენი ნებისმიერი გუნდის დაცვისთვის პრობლემაა.

— ისლანდიელი ახალ თანაგუნდელებთან ჯერჯერობით ნაკლებად ურთიერთობს...

— ესპანური ენა კარგად არ იცის, თუმცა სწავლობს და მალე ენობრივ ბარიერს გადალახავს.

— მასთან ჟოზე მაურინიუს შესახებ უკვე ილაპარაკეთ?

— არა, ჯერ არ მისაუბრია. თუმცა მაურინიუ ჭკვიანი მწვრთნელია, თავის გუნდში გამარჯვებულის ფსიქოლოგიას ნერგავს. მან იცის, ამა თუ იმ თამაშეს მოსაგებად რა სჭირდება და ყველანაირ მეტოქეს მომზადებული ხვდება.

— ტურამსა და ძამბროტაზე რას ფიქრობთ?

— ჯერ ვერ გეტყვით, „ბარსელონას“ რა სარგებელს მოუტანენ. თუმცა თავიანთი ოსტატობა გერმანია 2006-ზე მშვენივრად დაამტკიცეს.

— გუნდმა თავისი შესაძლებლობის ზღვარს უკვე მიაღწია?

— ეს არავინ იცის. მე და სხვა ბიჭები ვფიქრობთ, რომ არა, თუმცა „ბარსას“ შესაძლებლობის ზღვარს დრო უჩვენებს.

— რა უნდა მოხდეს, რომ „ბარსელონამ“ წინა სეზონთა მიღწევები გააუმჯობესოს?

— გამარჯვების რეცეპტი ძალიან უბრალოა — მონდომებით თამაში და მეტოქის პატივისცემა. აქამდე ასე მოვსულვართ და ამის შემდეგაც ასე უნდა ვიმოქმედოთ.

— მეტოქეებზე ვილაპარაკოთ. მადრიდის „რეალი“ წლეულს უფრო სახიფათო იქნება?

— მოწინააღმდეგეების კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ მათ პატივს უნდა ვცემდეთ. „რეალმა“ კი, მართლაც, კარგი ფეხბურთელები შეიძინა და მადრიდელებთან ბრძოლა შარშანდელზე რთული იქნება.

— „ბარსელონას“ ისტორიაში დღევანდელი შემადგენლობა ყველაზე საუკეთესოა?

— ამის თქმას ვერ გავბედავ. „ბარსას“ მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შესანიშნავი შემადგენლობა ბევრჯერ ჰყავდა, რომელთაგან ერთ-ერთში მეც ვთამაშობ. თანამედროვე გუნდი, მართლაც ბრწყინვალეა.

— გუნდში ასე მტკიცე ერთიანობას როგორ ინარჩუნებთ?

— ყველას ერთი მიზანი გვაქვს, მუშაობა არავის ეზარება.

— ფრანკ რაიკარდი და კაპიტნები გუნდის წარმატებაში დიდ როლს ასრულებენ?

— ფრანკ რაიკარდი დიდი მწვრთნელია და ასევე დიდი ფსიქოლოგიც. მან იცის, როგორ შეინარჩუნოს გუნდში საჭირო ერთიანობა. კაპიტნები კი უფრო დანარჩენ შემადგენლობაზე ვართ დამოკიდებული. თუ ფეხბურთელის ფსიქოლოგია იცი, თვით „ბარსას“ კაპიტნობაც შენთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

— რა სჭირს ესპანეთის ნაკრებს? როგორც ყოველთვის, მუნდიალი შუა გზაზე მიგვატოვებინეს...

— ალბათ, მართალია, როცა ჩვენზე ამბობენ, დიდ ტურნირებში ბრძოლა არ იციანო. მსოფლიოს ჩემპიონატი შესანიშნავად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ საქმეები კარგად არ წაგვივიდა. საფრანგეთთან მოგებული მატჩი წავაგეთ — დიდ ტურნირებში ბრძოლის უცოდინრობამ დაგვღუპა. მეტოქემ ზედ შესვენების წინ გაგვითანაბრა ანგარიში, როცა, ერთი შეხედვით, ყველაფერი მოგვარებული იყო.

— ტიერი ანრი რატომ გმტრობთ? ფრანგმა ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ მეტისმეტად უხეშობაში დაგვადანაშაულათ, ხოლო მუნდიალის მერვედფინალში სწორედ თქვენი და ანრის შეჯახების შემდეგ დაინიშნა ესპანეთის ნაკრებისთვის საბედისწერო საჯარიმო...

— ანრის რა აქვს ჩემთან საკამათო? ტყუილია, როდესაც ამბობენ, რომ ლიგის ფინალში უხეშად ვეთამაშე, პირიქით, ფრანგი ფარულად მირტყამდა და მე არ ვპასუხობდი... მსოფლიოს ჩემპიონატზე კი იმ ეპიზოდში თამაშის წესი არ დამირღვევია, ტიერი ანრი თავად წამომედო და თეატრალურად წაიქცა.

— ახლა ყველაზე მეტად რომელი ტიტულის მოგება გსურთ?

— ამორჩევას არ დავიწყებ. ჯერ ესპანეთის სუპერთასი, მერე ევროპის სუპერთასი და ყველა დანარჩენი მატჩების მოგება, რაც ამ სეზონში გვექნება.

— „ბარსელონა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ამერიკელ გულშემატკივართა მიერ გუნდის უწინდელ და ამჟამინდელ დახვედრაში რა განსხვავებას ხედავთ?

— რონალდინიომ ხალხი გააგიჟა. მთელი ჰოლივუდი „ბარსელონას“ მაისურებში იყო გამოწყობილი. შინ, „კამპ ნოუზე“ გვეგონა თავი...

— რას გვეტყვით რონალდინიოს შესახებ?

— ვარსკვლავია მოედანზე და მის გარეთაც. რონი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და მის გვერდით თამაში პრივილეგიაა ჩემთვის.

— „მილანში“ კიჟას შესაძლო გადაბარგება გუნდის შეშფოთებას არ იწვევს?

— არ მიკვირს, მისი ყიდვა რომ უნდათ, და არა მარტო „მილანს“. ყველა გუნდი ოცნებობს რონალდინიოს შეძენაზე. ეს არის მოვლენა, რომელიც სიტყვა „ფეხბურთელის“ ჩარჩოებს სცილდება — გაიხსენეთ, მექსიკასა და ამერიკაში ხალხმა რონი როგორ მიიღო. უცხო გუნდების სატრანსფერო შემოთავაზებები კი არ გვაღელვებს, ყველამ იცის, რონალდინიო მაინც ჩვენთან დარჩება.

— „კამპ ნოუს“ კიდევ ერთი ვარსკვლავი ლეო მესი. რა შეიცვალა არგენტინელში 2004 წლის ძირითად გუნდში პირველი ვარჯიშიდან დღევანდელ ვარსკვლავობამდე?

— გადასარევი ფეხბურთელია, „სუპერფეთქებადი“. ისევ ძველი მესია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ადრე არ ლაპარაკობდა და ახლა ბევრს გვესაუბრება... მე პირადად დღევანდელი, უფრო გულღია მესი მირჩევნია.

— და ჯოვანი დოს სანტოსზე, „ახალ მარგალიტზე“ რას გვეტყვით?

— ნიჭიერია, თამაშის სტილით მესის ჰგავს და თუ მოთმინება ეყო, დიდ წარმატებებს მიაღწევს.

— „ბარსას“ სხვა ვარსკვლავი, კარლეს პუიოლიც დაგვიხასიათეთ...

— არავითარი პუიოლი. სამუელ ეტოო კი ნამდვილი ვარსკვლავია.

— გისმენთ. საინტერესო იქნება, აფრიკელზე რას გვეტყვით...

— ჩემთვის იგი მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდია. გოლებიც ბევრი გააქვს და გუნდური ტიპის მოთამაშეცაა. თავის პოზიციაზე, ვიმეორებ, ჩემი აზრით, ვერავინ სჯობნის. სწრაფია და მეტოქეთათვის „სასიკვდილო“.

— ვიქტორ ვალდესს თუ შეუძლია, ეტოოსნაირი „სასიკვდილო“ ფორვარდების განაღმვა?

— ასე თუ გავაგრძელეთ, მთელი „ბარსას“ დაწვრილებით დახასიათება მომიწევს, რადგანაც ყველა ფეხბურთელი შესანიშნავი გვყავს... ვიქტორ ვალდესი კი, ჩემი აზრით, მსოფლიოს სამ საუკეთესო მეკარეს შორის ერთ-ერთია. დღესაც ოსტატობის მეტად დახვეწაზე მუშაობს. მუნდიალზე ყოფნაც თავისუფლად შეეძლო, თუმცა ლუის არაგონესმა სხვაგვარად განსაჯა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებს სამი ბრწყინვალე მეკარე ჰყავდა, მაგრამ ვიქტორი მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერთა სამეულში შედის.

— თქვენთვის, როგორც ბარსელონელისთვის, იოჰან ნეესკენსის ხელმძღვანელობით მუშაობა რას ნიშნავს? ჰოლანდიის ნაკრებისა და სამოცდაათიანი წლების „ბარსას“ ძველი ლეგენდა ახლა ფრანკ რაიკარდის თანაშემწეა...

— მისი თამაში ვიდეოჩანაწერებიდან ვიცი, ნეესკენსი ფეხბურთელობისას მოედანზე არ მინახავს. დიდი გამოცდილება აქვს და ამით ძალიან დაგვეხმარება. ვამაყობ, რომ იმ კაცის გვერდით ვიქნები, რომელმაც თავის დროზე „ბარსელონას“ ბევრი გამარჯვება მოუტანა.

— შეიძლება, ნეესკენსი მის წინამორბედს, ჰენკ ტენ კატს შევადაროთ?

— შედარებების გაკეთება ჯერ ადრეა. ამას დრო გვიჩვენებს.

— „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ვისაუბროთ. მოულოდნელმა არჩევნებმა გუნდში არეულობა ხომ არ შეიტანა?

— არა, ყველანი სიმშვიდეს ვინარჩუნებთ. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებში ღირსეული გაიმარჯვებს. ჩვენი საქმე კი რიგიანად ვარჯიში და დამდეგი პრიმერასთვის მომზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედზე გამარჯვება




## ხისფეხა

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრება კიდევ უფრო გაძნელდა. თავიდან ვიფიქრე, რომ ოჯახს ის უფრო გამოადგებოდა, ფეხბურთის მიტოვება და სადმე, შედარებით მალალანაზღაურებად სამუშაოზე მოწყობა მეცადა, თუმცა... მერე უბრალოდ რომილდოს საფლავზე ველარ მივიდოდი. მამაჩემი არასდროს მაპატიებდა ფეხბურთის მიტოვებას, მან თითქოს წინასწარ იცოდა, რომ წლების შემდეგ მისი შვილი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გახდებოდა. ამ აღიარებამდე კი კარგა დიდი დრო იყო დარჩენილი, ჯერ „დეპორტივო" და „ბარსელონა" ჰორიზონტზე არსად ჩანდნენ და „ხისფეხას" სატულველი სახელიც მინდოდა თუ არა, მაინც უნდა მეტარებინა, „პატა დე პალო", ანუ „ხისფეხა" სიგამხდრის და მოუხეშაობის გამო „სანტა კრუზის" სტადიონზე შემარქვეს და სანამ მძლავრ ათლეტად არ გადავიქეცი, ოჯახის წევრების გარდა ყველა ასე მეძახდა.

დღეს, როცა სუსტ, ძველ რივალდოზე ვფიქრობ, ვხვდები, რომ ხასიათის ჩამოყალიბებისთვის ზუსტად ეს სკოლა უნდა გამევლო. რახან „ხისფეხა" ვიყავი, ქებაზე მეტად კრიტიკას შევეჩვიე. რჩევებზე მეტად სასჯელს და განცხრომაზე მეტად მუდამ ბრძოლისთვის მზადყოფნას. ქუჩური გუნდების შემდეგ „სანტა კრუზში" გამოვდიოდი, სადაც პირველი პროფესიული გამოცდილება მივიღე. მამამ დაუწერელი ანდერძი დამიტოვა — ფეხბურთს არ უნდა ჩამოვცილებოდი და მისი ინტუიციის სისწორის დასამტკიცებლად დიდი წარმატებებისთვის უნდა მიმეღწია.

## პაულისტანოდან ისევ სანტა კრუზში

მე „სანტა კრუზს" ვეკუთვნოდი, მამაჩემის ცხოვრების კლუბს, სადაც გამარჯვების სიხარულიც გამოვცადე და იმედგაცრუების საშინელებაც... 16 წლის ვიყავი, როდესაც გუნდში ახალი ფეხბურთელები მიიღეს, ჩემი თამაში კი მწვრთნელს აღარ მოეწონა და განმიცხადა, თავისუფალი ხარ, შეგიძლია, სარეგისტრაციო ბარათი შინ წაიღოო.

რა უნდა მექნა? როგორ ამეხსნა ეს ყველაფერი მამისთვის, რომილდო ხომ მის მშობლიურ კლუბში შვილის წარმატებებზე ოცნებობდა? სიმართლის თქმა ვერ გავბედე, ვუთხარი, რომ შერჩევა ჯერ არ დასრულებულა და საბოლოო პასუხს მხოლოდ სამი თვის შემდეგ მეტყოდნენ... მამას ეწყინა, თუმც წამსვე შეეცადა, გავემხნევებინე. რომილდო კი იმ ამბიდან სამ თვეზე ადრე დაიღუპა. მან სიმართლე ვერ გაიგო, რაც დღემდე მაწუხებს.

„სანტა კრუზის" ოფისიდან სარეგისტრაციო ბარათი არ წამომიღია — მეშინოდა, ვაითუ სახლში აღმოაჩინონ-მეთქი. თამაში ისევ უბნის გუნდში დავიწყე. იქ არავის აინტერესებდა, „ხისფეხა" იყავი თუ „რკინისფეხა", ხალხი თავისი სიამოვნებისთვის ბურთაობდა და შემადგენლობაში ბავშვებიც გვყავდა და 35 წლის ვეტერანებიც.

შემთხვევით, უბნის გუნდის თამაშს პატარა კლუბის, „პაულისტანოს" წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ შემომთავაზეს, ახალ გუნდში გადავსულიყავი.

„პაულისტანოს" შეფები პირველად იმაში დაინტერესდნენ, „კატა" ხომ არ ვიყავი. „კატებს" ბრაზილიაში იმ ფეხბურთელებს ეძახიან, რომლებიც დოკუმენტებში ასაკს იკლებდნენ. მე, რა თქმა უნდა, განვუცხადე, რომ პასპორტი წესრიგში მქონდა.

დოკუმენტები „სანტა კრუზში" იყო დარჩენილი და „პაულისტანოც" ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად ჩემს ძველ გუნდს დაუკავშირდა.

გავიდა რამდენიმე დღე და მშობლიურ მოედანს უკვე ახალი გუნდის ფორმაში ჩამოსულმა მივაკითხე. გულშემატკივრები საშინლად შემხვდნენ, თუმცა მე მაინც თავი არ დამიზოგავს, რათა დამემტკიცებინა, რომ „სანტა კრუზმა" ტყუილუბრალოდ ჩამომწერა. ტრიბუნების სტვენის თანხლებით ორჯერ დავაწინაურე „პაულისტანო". საბოლოო შეხვედრა 2:2 დასრულდა. რადგანაც მატჩს ტურნირიდან გავარდნილის ვინაობა უნდა გამოერკვია, პენალტები დავარტყით. მე გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი გავიტანე და ალბათ წარმოიდგინეთ, „სანტა კრუზის" ფანები რა დღეშიც ჩაცვივდებოდნენ.

კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელი რივალდოს გარიცხვისთვის სასტიკად შეახურა. თამაშიდან მეორე დღესვე დაიწყეს ჩემს უკან დაბრუნებაზე ჩალიჩი, მაგრამ კარგა ხანი არაფერი გამოსდიოდათ — თავს „პაულისტანოშიც" მშვენივრად ვგრძნობდი; ბოლოს მაღალ ხელფასს და სტადიონამდე ყოველდღიური მგზავრობის ღირებულების დაფარვას დამპირდნენ. დავთანხმდი, ოჯახს უჭირდა, ისინი კი უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ.

## შერისხვა მოფერების სანაცვლოდ

სამი წლის მერე უკვე „სანტა კრუზის" პროფესიონალურ გუნდში მიმიწვიეს. ეს ჩემთვის მთავარ მოედანზე ყოფნას და საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშს ნიშნავდა. მე მათ კატეგორიას არ მივეკუთვნებოდი და შესაბამისად არც ხელფასი მქონდა. მარტო პრემიებს მაძლევდნენ მოგებებზე.

ძირითადში შემთხვევით მოვხვდი. 1991 წელს სან პაულუში იუნიორთა თასის ტურნირის (**TACA JUNIORES**) შემდეგ განგვიცხადეს, რომ გათამაშების 5 ყველაზე მაგარ ფეხბურთელს პროფესიონალურ გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლებას მიეცემოდა. ტურნირზე 4 გოლი შევაგდე, მაგრამ მწვრთნელმა „შესანიშნავ ხუთეულში" მაინც არ შემიყვანა. მითხრა, ხვალ პროფესიონალების ვარჯიშზე მოდი, ოღონდ... ტრიბუნაზე უნდა იჯდეო.

მეც მივედი, „სანტა კრუზის" ერთ-ერთმა თავკაცმა მოედნის ცენტრში ახალბედები შეკრიბა და იდეოლოგიური ლექცია მოუწყო — რომ ამიერიდან დიდი გუნდის ღირსებას იცავენ, შეცდომების უფლება აღარ აქვთ და ასე შემდეგ. მერე ამ პატივცემულმა სენიორმა ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელს მიმართა ამ ბიჭებიდან რივალდო რომელია, მითხრეს, იუნიორთა თასზე ოთხი გოლი გაუტანიაო. ძალიანაც გაოცდა, როცა ტრიბუნისკენ მიუთითეს... ფორმა ჩავიცვი, პროფესიონალებთან ერთად ვივარჯიშე და სახლში ბედნიერებისგან გაბრუებული დავბრუნდი.

ახალი მწვრთნელი სერჟიუ კოსმე თავიდან საერთოდ ყურადღებას არ მაქცევდა, თუმც შემდეგ მითხრა, რომ უახლოეს მატჩში თავდასხმის ცენტრში ვალბერის მაგივრად ვითამაშებდი. თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ როცა „გავიღვიძე", კოშმარში აღმოვჩნდი — მეორე დღეს ვარჯიშზე ზედმეტი მოვინდომე და ფეხი კინაღამ მოვიტეხე. მოედნიდან საკაცით გამიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი შემადგენლობაში ადგილის შენარჩუნებას დამპირდა, ვფიქრობდი, სიცოცხლე დამთავრდა-მეთქი.

გაგრძელება იქნება




# მერტესაკერი: ახალი ინსტრუმენტი მუსიკოსებში

**ბრემენის** „ვერდერმა" „ჰანოვერიდან" პერ მერტესაკერის ტრანსფერი საბოლოოდ მოაგვარა და ამ საქმეს წერტილი დაუსვა. „მუსიკოსებმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 6 მილიონ 400 ათასი ევრო გადაიხადეს. გერმანიის ნაკრების მცველმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჰანოვერს" თანხის გარდა ბრემენელთა მოთამაშე ფრანკ ფარენჰორსტიც ერგო. მან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„მიუხედავად იმისა, რომ პერი ახალგაზრდაა, საუცხოოდ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ასეთი ფეხბურთელი კი ჩვენს გუნდს აშკარად გააძლიერებს. მას უდიდესი პოტენციალი აქვს" — განაცხადა „ვერდერის" მწვრთნელმა თომას შააფმა.

ბრემენელებმა პირველად ექვსი თვის წინ სცადეს მერტესაკერის გადაბირება, მაგრამ არ გამოუვიდათ. ახლა კი ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშონ და დაცვის გაძლიერება სურდათ. მცველი ჯერჯერობით ტრავმირებულია და ბუნდესლიგის პირველ ტურში აწ უკვე ყოფილი გუნდის, „ჰანოვერის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

პერ მერტესაკერი იურგენ კლინსმანმა მიიწვია ნაკრებში და 2004 წლის ოქტომბრის შემდეგ 29-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

ირაკლი ნინიძე

## შვედეთი

ალსვენსკა
XIII ტური
იოსტერსი 3:1 ჰალმსტადი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 13 | 9 | 2 | 2 | 25:14 | 29 |
| აიკ | 13 | 7 | 4 | 2 | 23:13 | 25 |
| გიოტებორგი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:12 | 25 |
| ელფსბორგი | 12 | 6 | 5 | 1 | 20:10 | 23 |
| იურგორდენი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:11 | 23 |
| მალმიო | 12 | 6 | 3 | 3 | 19:13 | 21 |
| კალმარი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:14 | 17 |
| გაის | 13 | 4 | 4 | 5 | 13:17 | 16 |
| გეფლე | 13 | 4 | 3 | 6 | 13:21 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:19 | 14 |
| ჰალმსტადი | 13 | 2 | 5 | 6 | 8:15 | 11 |
| ჰეკენი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:20 | 10 |
| იოსტერსი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:24 | 9 |
| იორგრიტე | 13 | 0 | 5 | 8 | 11:23 | 5 |

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა
II ტური
პლზენი 0:1 სპარტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ბოლესლავი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იაბლონეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბრნო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სლოვაცკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მოსტი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| პრჟიბრამი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ტეპლიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სიგმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პლზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კლადნო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ზლინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ბანიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. III ტური
ლიბურნი 2:4 ბასტია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| მეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ამიენი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| კაენი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| შატორუ | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ნიორი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გენიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| რეიმსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| გრენობლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| აიაჩო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კრეტეი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გენგამი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სტრასბური | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლე ავრი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ტურსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ბრესტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| დიჟონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ლიბურნი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |
| ისტრი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| მონპელიე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

## ნორვეგია

ტიპელიგა. XVI ტური
ფრედრიკსტადი 2:2 ჰამ კამი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:15 | 31 |
| ლილესტრიომი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:18 | 28 |
| როზენბორგი | 16 | 7 | 6 | 3 | 25:18 | 27 |
| სტაბეკი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:17 | 25 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:18 | 22 |
| სანდეფიორდი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:26 | 22 |
| ლინი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:17 | 21 |
| სტარტი | 16 | 5 | 6 | 5 | 15:18 | 21 |
| ჰამ კამი | 16 | 5 | 4 | 7 | 24:22 | 19 |
| ვოლერენგა | 16 | 5 | 4 | 7 | 21:21 | 19 |
| ვიკინგი | 16 | 4 | 5 | 7 | 14:19 | 17 |
| ფრედრიქსტადი | 16 | 4 | 5 | 7 | 21:29 | 17 |
| მიოლდე | 16 | 5 | 2 | 9 | 17:26 | 17 |
| ტრომსიო | 16 | 3 | 5 | 8 | 16:23 | 14 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 10 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 12 | საუთჰემპტონი-ქოვენტრი | 1.83 | 3.10 | 3.65 | 1.15 | 1.21 | 1.67 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **I ლიგა** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 35 | ჩესტერფილდი-კარლაილი | 2.10 | 3.10 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.49 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **II ლიგა** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 59 | ბოსტონი-პიტერბრო | 2.30 | 3.00 | 2.55 | 1.30 | 1.20 | 1.37 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 105 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.50 | 3.65 | 5.25 | 1.06 | 1.16 | 2.15 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 106 | ჰამბურგი-არმინია | 1.30 | 4.20 | 7.25 | 1.00 | 1.10 | 2.65 |
| 17:30 | 107 | ლევერკუზენი-ალემანია | 1.45 | 3.80 | 5.75 | 1.04 | 1.15 | 2.28 |
| 17:30 | 108 | მაინცი-ბოხუმი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 17:30 | 109 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1.55 | 3.30 | 5.00 | 1.05 | 1.18 | 1.98 |
| 17:30 | 110 | შალკე-აინტრახტი | 1.40 | 3.90 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.36 |
| 17:30 | 111 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 112 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 19:00 | 113 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 114 | კაიზერსლაუტერნი-ესენი | 1.45 | 3.70 | 5.00 | 1.04 | 1.12 | 2.12 |
| 20:00 | 115 | ოფენბახი-კარლ ცაისი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 20:00 | 116 | ბურგჰაუზენი-კარლსრუე | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 117 | დუისბურგი-კობლენცი | 1.45 | 3.70 | 5.00 | 1.04 | 1.12 | 2.12 |
| 16:00 | 118 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1.75 | 3.10 | 4.20 | 1.11 | 1.23 | 1.78 |
| 16:00 | 119 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 2.20 | 3.15 | 2.80 | 1.29 | 1.23 | 1.48 |
| 16:00 | 120 | ბრაუნშვაიგი-პადერბორნი | 2.00 | 3.15 | 3.25 | 1.22 | 1.23 | 1.59 |
| 16:00 | 121 | აუე-უნტერჰახინგი | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 122 | აუგსბურგი-კიოლნი | 2.75 | 3.25 | 2.20 | 1.48 | 1.22 | 1.31 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 124 | ჰამბურგი(მ)-ვუპერტალი | 2.15 | 3.20 | 2.75 | 1.28 | 1.20 | 1.47 |
| 21:30 | 125 | კილი-მაგდებურგი | 1.50 | 3.50 | 4.80 | 1.04 | 1.14 | 2.02 |
| 20:30 | 126 | ემდენი-ლიუბეკი | 2.30 | 3.15 | 2.50 | 1.32 | 1.19 | 1.39 |
| 21:30 | 127 | ლევერკუზენი(მ)-ვერდერი(მ) | 2.00 | 3.30 | 2.75 | 1.24 | 1.15 | 1.50 |
| 21:30 | 128 | მიონხენგლადბახი-დინამო | 2.75 | 3.30 | 2.00 | 1.50 | 1.15 | 1.24 |
| 21:30 | 129 | ზტ.პაული-დორტმუნდი(მ) | 1.55 | 3.45 | 4.70 | 1.06 | 1.16 | 1.98 |
| 21:30 | 130 | ვილელმშეივენი-ჰერტა(მ) | 2.15 | 3.20 | 2.60 | 1.28 | 1.17 | 1.43 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 141 | კასელი-ჰოფენჰაიმი | 2.65 | 3.20 | 2.10 | 1.44 | 1.17 | 1.26 |
| 21:00 | 142 | მიუნხენი1860(მ)-ელვერსბერგი | 2.25 | 3.20 | 2.50 | 1.32 | 1.18 | 1.40 |
| 21:00 | 143 | ფულენდორფი-ბაიერნი(მ) | 2.25 | 3.25 | 2.50 | 1.32 | 1.18 | 1.41 |
| 21:00 | 144 | პირმასენსი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 2.10 | 3.20 | 2.65 | 1.26 | 1.17 | 1.44 |
| 21:00 | 147 | ზიგენი-ინგოლშტადი | 1.60 | 3.40 | 3.90 | 1.08 | 1.13 | 1.81 |
| 21:00 | 148 | კიკერსი-კარლსრუე(მ) | 1.65 | 3.35 | 3.90 | 1.10 | 1.15 | 1.80 |
| 21:00 | 149 | ვეენი-აალენი | 1.70 | 3.35 | 3.80 | 1.12 | 1.17 | 1.78 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 19:15 | 184 | ლორიანი-ბორდო | 3.65 | 2.80 | 2.00 | 1.58 | 1.29 | 1.16 |
| 22:00 | 185 | ლიონი-ტულუზი | 1.25 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 2.95 |
| 22:00 | 186 | მონაკო-სტ.ეტიენი | 1.80 | 2.90 | 4.40 | 1.11 | 1.27 | 1.74 |
| 22:00 | 187 | ნანსი-სედანი | 1.85 | 2.80 | 4.40 | 1.11 | 1.30 | 1.71 |
| 22:00 | 188 | ნიცა-ნანტი | 2.00 | 2.75 | 3.70 | 1.15 | 1.29 | 1.57 |
| 22:00 | 189 | სოშო-ოსერი | 2.40 | 2.75 | 2.80 | 1.28 | 1.29 | 1.38 |
| 22:00 | 190 | ტრუა-ლე მანი | 2.40 | 2.75 | 2.80 | 1.28 | 1.29 | 1.38 |
| 22:00 | 191 | ვალენსიენსი-პსჟ | 3.40 | 2.75 | 2.10 | 1.52 | 1.29 | 1.19 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 192 | ლილი-ლანსი | 2.10 | 2.80 | 3.40 | 1.20 | 1.29 | 1.53 |
| 23:00 | 193 | მარსელი-რენი | 1.80 | 2.80 | 4.65 | 1.09 | 1.29 | 1.74 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი სუპერეტა 9 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 291 | იონკოპინგი-ნორჩიოპინგი | 3.20 | 3.25 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| | | **ფინეთი 10 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 299 | ინტერი-ტურკუ | 3.70 | 3.15 | 1.90 | 1.70 | 1.25 | 1.18 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა 9 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 770 | ცსკა-რუჟომბეროკი | 1.30 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.66 |
| 20:00 | 771 | დინამო კ-ფენერბაჰჩე | 1.85 | 3.15 | 3.70 | 1.16 | 1.23 | 1.70 |
| 20:00 | 772 | ლილი-რაბოტნიკი | 1.20 | 4.80 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.34 |
| 20:30 | 773 | შახტარი-ლეგია | 1.43 | 3.50 | 6.60 | 1.01 | 1.17 | 2.28 |
| 21:30 | 774 | გალათასარაი-ბოლესლავი | 1.40 | 3.70 | 7.20 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| 21:30 | 775 | ლევსკი-კიევი | 2.45 | 2.90 | 2.65 | 1.32 | 1.27 | 1.38 |
| 22:15 | 776 | ლიბერეცი-სპარტაკი მ | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 22:30 | 777 | კოპენჰაგენი-აიაქსი | 2.55 | 3.00 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 22:30 | 778 | ჰამბურგი-ოსასუნა | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 22:30 | 779 | სტანდარდი-სტიაუა | 2.20 | 3.05 | 2.90 | 1.27 | 1.25 | 1.48 |
| 22:45 | 780 | ჰართსი-აეკ | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 781 | მილანი-ცრვენა ზვეზდა | 1.12 | 5.65 | 12.50 | 1.00 | 1.02 | 3.89 |
| 22:45 | 782 | ზალცბურგი-ვალენსია | 3.20 | 3.00 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| 23:00 | 783 | ლივერპული-მაკაბი ჰ | 1.10 | 5.80 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.01 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფას თასი 10 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 365 | აპოელი ნ-ტრაბზონი | 3.20 | 3.20 | 1.95 | 1.60 | 1.21 | 1.21 |
| 22:00 | 366 | ბაზელი-ვადუცი | 1.17 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.04 | 3.33 |
| 20:00 | 367 | ბნეი იეჰუდა-ლოკომოტივი(ბულ) | 3.60 | 3.20 | 1.80 | 1.69 | 1.20 | 1.15 |
| 19:00 | 368 | ჩერნომორეცი-პლოცკი | 1.70 | 3.25 | 3.80 | 1.11 | 1.17 | 1.75 |
| 20:30 | 369 | ცსკა(ბულ)-ჰაიდუკი | 1.33 | 4.25 | 7.00 | 1.01 | 1.11 | 2.64 |
| 19:00 | 372 | კარვანი-სლავია | 4.80 | 3.40 | 1.55 | 1.99 | 1.17 | 1.06 |
| 18:00 | 373 | რანდერსი-კაუნასი | 1.83 | 3.20 | 3.65 | 1.16 | 1.21 | 1.70 |
| 22:45 | 376 | მატერსბურგი-ვისლა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 381 | პეტრჟალკა-დინამო(მინსკი) | 1.55 | 3.30 | 4.70 | 1.05 | 1.16 | 1.93 |
| 19:00 | 384 | რუბინი-ბატე | 1.20 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 2.75 |
| 21:00 | 386 | სტარტი -დროგედა | 1.35 | 3.75 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.37 |
| 22:00 | 784 | სუდოვა-ბრიუგე | 6.00 | 3.75 | 1.40 | 2.30 | 1.13 | 1.01 |
| 22:00 | 785 | ფლორა-ბრიონდბიუ | 4.80 | 3.50 | 1.50 | 2.02 | 1.14 | 1.04 |
| 21:00 | 786 | ბრანი-ატვიდაბერგი | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 21:00 | 787 | მოლდე-სკონტო | 1.60 | 3.30 | 4.50 | 1.07 | 1.18 | 1.90 |
| 22:45 | 789 | გრეტნა-დერი | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |
| | | **შოტლანდია თასი 9 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 395 | არბროთი-ელგინი | 1.60 | 3.45 | 4.20 | 1.09 | 1.15 | 1.89 |
| 22:45 | 400 | ეარი-ბერიკი | 1.75 | 3.30 | 3.70 | 1.14 | 1.18 | 1.74 |
| 22:45 | 401 | მონტროუზი-პიტერჰედი | 3.45 | 3.55 | 1.75 | 1.74 | 1.16 | 1.17 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| | მოსკოვის გამზირი №6 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |
| ზესტაფონი | დავით ალმაშენებლის №39 | |
| გარდაბანი | დავით ალმაშენებლის №12 | |

## ათი დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

# გუნდი ვართ და ქუდი გვხურავს

## ამერიკისთვის უმინო ჩინეთი დაბალი კედელია



დუეინ ვეიდის პასებმა ჩინური კედელი გაარღვია

**შინაურ** ლას ვეგასში პუერტო რიკოს 45 ქულით შემუსვრის შემდეგ, აშშ-ის ნაკრები ჩინეთში ჩაფრინდა და ქალაქ გუანჯოუში მასაც შავი დღე აყარა — 119:73 გაანადგურა. 46-ქულიანი მარცხით შერცხვენილ ჩინელებს მაინც აქვთ თავის გასამართლებელი მიზეზი, ორი ლიდერი აკლდათ და ორივე ცენტრი, 226-სანტიმეტრიანი ჯილა იაო მინი და 215-სანტიმეტრიანი ვან ჟიჟი. მათთან ერთად, მასპინძლები, ალბათ, ასე არ შერცხვებოდნენ, მინსაც და ვანსაც აქვთ ამერიკელებთან თამაშის გამოცდილება. ვანი პირველი ჩინელი იყო ნბა-ში, მინის ამბავი კი კარგად მოგეხსენებათ. მისებრი ცენტრი ერთი-ორია ოკეანისგაღმურ სუპერლიგაში, ყოველ წელიწადს ოლ სტარში თამაშობს.

ჩინელი ცენტრების არყოფნაში გუანჯოუს ამხანაგურში გაილაღა ამერიკელთა თეთრმა მეფარემ ბრედ მილერმა, ვინც თამაშში 5 სროლიდან ყველა ჩააგდო და 14 ქულა მოინაგრა. ყველაზე მეტი კი ლებრონ ჯეიმსს მოუგროვდა — 22. 18 გააზერხა კარმელო ენტონიმ, 13 — ელტონ ბრენდმა. დუეინ ვეიდმა კი 13 ქულას 6 მოხსნა, 6 პასი და 5 ჩაჭრა მიაყოლა. საზოგადოდ, ამერიკელებმა ისეთი დაცვითი ხაფანგები დააგეს, ჩინელებმა 34-ჯერ(!) დაკარგეს ბურთი.

„ჩვენ ვიზრდებით, როგორც გუნდი და ყველაზე მეტად ეს გარემოება გვახარებს — აშკარად კმაყოფილი ჩანს ამერიკელთა თავკაცი მაიკ კრჟიჟევსკი — აღარ გვქვია მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელთა არაფრის მაქნისი კრებული. ჩვენ გუნდი ვართ და ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ გუნდურად ვუტევთ და თავსაც გუნდურად ვიცავთ.“

ამერიკელები გუანჯოუში ბრაზილიელებთან სპარინგსაც გეგმავენ, მერე კი იქვე სამხრეთ კორეაში ჩაფრინდებიან და მუნდიალის წინ ბოლო ორ საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ.

**ბოტე ყორშია**



ანტანას სირეიკა

# სირეიკამ შიშკაუსკასს დასვენება გამოუწერა

**სამუნდიალო** სამზადისი დაასრულა ლიტვის ნაკრებმა, რომელმაც მადრიდის ოთხთა ტურნირზე მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. მასპინძელ ესპანელებთან და ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინელებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ლიტველებმა ამ ტურნირის მაჩანჩალა პოლონეთი დაიბრიყვეს და 28 ქულით მოუგეს. ამ მატჩში 20 წუთი ითამაშა ლიტველთა ერთ-ერთმა გამორჩეულმა კალათბურთელმა, 27 წლის მინდაუგას ლუკაუსკასმა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ბალტიისპირელთა თავკაცს ანტანას სირეიკას მისი ბურთაობა თვალში არ მოუვიდა და ლუკაუსკასი საიაპონიო გუნდის მიღმა დატოვა.

ლიტველთა გოროზმა მწვრთნელმა გამოცდილ ლუკაუსკასს „ჟალგირისის“ 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი მანტას კალნიეტისი ამჯობინა. ნაკრებს მიღმა აღმოჩნდა 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის მომგები რამუნას შიშკაუსკასიც. ბოლო ორი სეზონი შიშკაუსკასმა იტალიურ „ბენეტონში“ გაატარა და შარშან იტალიის ჩემპიონტის მოგებაში თავი წილი ქულებიც მიაშველა. ამ ზაფხულს კი ბერძნულ „პანათანაიკოსში“ გადავიდა.

„შიშკაუსკასს ბოლო პერიოდში ბევრი გაუცდა. ის ახლა ოპტიმალურ ფორმაში არ არის, ამიტომ მისთვისაც და გუნდისთვისაც უკეთესი იქნება, დაისვენოს და მსოფლიოს ჩემპიონატმა მის გარეშე ჩაიაროს“ — განაცხადა ანტანას სირეიკამ.

ლიტველთა საიაპონიო სრული შემადგენლობა კი ასეთია: მანტას კალიენტისი, მინდაუგას ჟუკაუსკასი, არვიდას მაჩიაუსკასი, დარიუს ლავრინოვიჩი, გედრიუს გუსტასი, დარიუს სონგაილა, ლინას კლეისა, კშიშტოფ ლავრინოვიჩი, სიმას იასაიტისი, პაულიუს იანკუნასი, რობერტას იავტოკასი, ტომას დელინინკაიტისი.

ლიტველთა თავკაცის გადაწყვეტილებით, იაპონიაში გაფრენამდე კალათბურთელებს მცირე შვებულებას მისცემენ ოჯახებთან ერთად დროს გასატარებლად.

შეგახსენებთ, ლიტვა ყველაზე რთულ ჯგუფში მოხვდა საბერძნეთთან, ბრაზილიასთან, თურქეთთან, ყატართან და ავსტრალიასთან ერთად. ამ ექვსიდან ოთხი მოწინავე მერვედფინალში გავა, ორი მაჩანჩალა კი ჯგუფური ეტაპის დასრულებისთანავე აიბარგება იაპონიიდან.

**ბაჩო სვანიძე**

# საკოტამ ტეპიჩი ინდომა

**ყოფილი** იუგოსლავიის, ახლა კი უბრალოდ სერბეთის ნაკრების მწვრთნელ დრაგან საკოტას საფიქრალი მიეძალა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ათიოდე დღე რჩება და ბოლო ორი მუნდიალის მომგები გუნდის თავკაცს საიაპონიო რაზმი ჯერ ვერ შეურჩევია.

საკოტას დავთრები ნბა-ში მოთამაშე სერბებმა აურიეს. უკვე ცნობილია, რომ ის ვერ დაეყრდნობა ნბაელ ლეგიონერებს, რომლებმაც იაპონიაში თამაში იუარეს. ხოლო ამერიკაში, სტუდენტთა ლიგაში მოთამაშე, „არიზონა ვაილდ ქეთსის“ 208 სანტიმეტრიან ფორვარდ ივან რადენოვიჩზე თავად საკოტამ თქვა უარი. არადა, სტუდენტური ლიგის ახმახი ვარსკვლავი ბევრს ეცადა მწვთრნელის გადარწმუნებას.

სამაგიეროდ, საკოტას ძალიან მოაწონა თავი სერბეთის 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა და შინაურ კალათბურთში აღიარებულმა ჯეელმა მილენკო ტეპიჩმა.

„ტეპიჩი ახალგაზრდა და ძალიან სასარგებლო მოთამაშეა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მას აუცილებლად წავიყვან“ — ეს ამბავი დრაგან საკოტამ გუშინ გააცხადა.

უცნაური ისაა, რომ ტეპიჩი არ იქნება მისიანთა მუნდიალისწინა მთავარ შეკრებაზე. 11-13 აგვისტოს სერბეთის ნაკრები სინგაპურში ოთხთა ტურნირზე ითამაშებს, სადაც ესპანეთს, სლოვენიასა და არგენტინას წაებურთავება. მალენკო ტეპიჩი კი საამტურნირო რაზმში არ არის.

ტეპიჩი სერბეთის 20-წლამდელთა ნაკრების ყოჩი და ვარსკვლავია. წლეულს თურქულ იზმირში მისი კაპიტნობით სერბებმა თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს, ტეპიჩი კი მატჩში საშუალოდ 12 ქულას, 4 მოხსნასა და ერთ პასს აკეთებდა.

**ბაჩო სვანიძე**



მილენკო ტეპიჩი

# ჩემი ბიჭები ჩემთან

## პიპანმა სლოვენია გამოაცხადა

**„ბიჭებმა** ბევრი იმუშავეს, მაგრამ ყოველთვის დგება დრო, როცა საბოლოო შემადგენლობა უნდა შეარჩიო. ვინც მუნდიალზე ვერ წამოვა, ვიცი, გული ძალიან დასწყდება, მაგრამ მწვრთნელი ვარ და ამას უკვე შევეგუე“ — თქვა სლოვენიელთა მთავარმა მწვრთნელმა ალეშ პიპანმა.

როგორც იქნა, პიპანმა გაცხრილა გაფართოებული რაზმი და სამსოფლიოსჩემპიონატო საბოლოო 12-კაცა შემადგენლობა გუშინ გამოაცხადა. ნაკრებს მიღმა დარჩნენ: ნებოიშა იაკსიმოვიჩი, მიხა ჟუპანი და კლემენ ლორბეკი.

სამუნდიალო შემადგენლობა კი ასეთია: გორან იურაკი, იაკა ლაკოვიჩი, საშო ოზბოლტი, სანი ბეჩიროვიჩი, რადოსლავ ნესტეროვიჩი, ბენო უდრიხი, ბოსტიან ნახბარი, გორან დრაგიჩი, მარკო მილიჩი, ჟელკო ზაგორსკი, ‑უროშ სლოკარი, პრიმოშ ბრეზეცი.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ფირცხელიანმა ევროკრებული დარაზმა



**ძიუდოისტთა** ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის ფირცხელიანმა ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შვიდკაცა ნაკრების შემადგენლობა ოფიციალურად გამოაცხადა. ექვსი წევრი ადრევე ცნობილი იყო. მეშვიდე კი გასულ უქმეებზე ჩეხეთში ჩატარებულმა A კატეგორიის ტურნირმა გამოავლინა.

„73 კილოგრამში ესტონეთში გიგა წიკლაური წამოვა — გვითხრა გუშინ ჩეხეთიდან დაბრუნებულმა ფირცხელიანმა — მართლა დამაჯერებლად იჭიდავა და შვიდი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დათმო უძლიერეს იაპონელთან. ნაკრები საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით დავაკომპლექტეთ და მაშინვე შეგვეძლო, წიკლაურიც პირდაპირ შეგვეყვანა განაცხადში, რადგან ჩემპიონი გახდა. თავი მხოლოდ იმიტომ შევიკავეთ, რომ საერთაშორისო გამოცდილება არ ჰქონდა. ხშირად ხდება, თავის ქვეყანაში ბრწყინვალედ მოჭიდავე ძიუდოისტი უცხოურ ტურნირებზე საკუთარი შესაძლებლობების მინიმუმსაც ვერ აჩვენებს. გიგა ჩეხეთში ამიტომ გამოვცადეთ. წავიყვანეთ მისი უშუალო კონკურენტი, არსენ მაჭარაშვილიც, რომელიც ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონია. ეს უკანასკნელი მერვედფინალში გავიდა. გიგამ კი ბრინჯაო მოიპოვა.“

ჩეხეთში კიდევ ერთმა ქართველმა ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) იჭიდავა და ნაკრებს მეორე ბრინჯაოს მედალიც მოუტანა, თუმც იგი წინასწარ განაცხადში არ იყო. ტურნირზე აჭარის ძიუდოს ფედერაციის დაფინანსებით გაემგზავრა, რათა საერთაშორისო გამოცდილება მიეღო. საევროპო შემადგენლობაში კი ამ წონაში მასზე გამოცდილი ბეთქილ შუკვანია, რომელმაც პაპინაშვილს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მოუგო.

ევროპირველობამდე ერთი თვე რჩება და ნაკრების თავკაცს მზადების დასკვნით ფაზაზეც დავეკითხეთ.

„ამ დროისთვის მხოლოდ ერთი ათდღიანი შეკრება გვაქვს დაგეგმილი, რომელსაც 27 აგვისტოს ლიკანში დავიწყებთ. იქამდე საკმაო დროა და მინდა, დამატებითი შეკრებაც გავახერხოთ. ეს გუნდისთვის ძალიან მომგებიანი იქნება. დასკვნით ფაზაში კი ჩვენი ძირითადი ნაკრების წევრებთან ერთად ვარჯიში გვსურს. მათ თავიანთი კალენდარი და გეგმა აქვთ. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და იმედია, რამდენიმე დღით მაინც მოგვიწევს ერთად ყოფნა“ — დასძინა ფირცხელიანმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები**

60 კგ — ბეთქილ შუკვანი
66 კგ — თენგიზ პაპოშვილი
73 კგ — გიგა წიკლაური
81 კგ — დავით კარბელაშვილი
90 კგ — იოსებ მსხალაძე
100 კგ — ნოდარ მეტრეველი
+100 კგ — ვახტანგ ზოიძე



# ვოლფგანგ შვარცი ციხის აზანოში

**ფიგურულ** სრიალში 1968 წლის გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონ ვოლფგანგ შვარცს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ავსტრიელ ჩემპიონს ბრალად ედებოდა რუმინელი ბიზნესმენის შვილის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით. სასამართლო პროცესი ერთი წელი მიმდინარეობდა და თავად შვარცის აღიარებით დასრულდა — „ვაღიარებ, რომ გოგონას მოტაცება ჩემი იდეა იყო. ვერ ავხსნი, რატომ მოვიქეცი ასე.“

ოლიმპიურ ჩემპიონს 20 წელი ციხე ემუქრებოდა, გულახდილობის შემდეგ კი სასჯელის ვადა 8 წლამდე შეუმცირდა.

ჭადრაკი

# პატარა ოლიმპიადა თურქეთში

**კვირას** თურქეთა ქალაქ დოგუბეიაზითში 16 წლამდელთა ოლიმპიადა დაიწყო. შეჯიბრში 21 ქვეყნის 24 გუნდი თამაშობს, მათ შორისაა საქართველოს ნაკრებიც. აღსანიშნავია რომ მასპინძელ თურქებს ოლიმპიადაზე 3 გუნდი ჰყავთ, ჩინელებს კი ორი.

ჩვენი გუნდის ღირსებას იცავენ გიორგი მარგველაშვილი, ლუკა პაიჭაძე, დავით ბენიძე, ლევან ბრეგაძე და ლევან ლომსაძე. რეიტინგით ქართველთა გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა ოლიმპიადაზე და ფავორიტთა შორის მოიხსენიება.

ოლიმპიადა 10 ტურად ჩატარდება და 12 აგვისტოს დასრულდება. პირველი და ბოლო ტურის გარდა ყმაწვილები დღეში ორ-ორ პარტიას ჩაატარებენ.

პირველ ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა მშრალი ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ავსტრალიის ნაკრები.

**ლაშა გეგეჭკორი**

ფრენბურთი

# რა დროს კონფლიქტია, როცა ფრენბურთია

## ფული იყოს და, სილა სხვაგანაც დაიყრება



ლევან ახვლედიანი

**„ფრენბურთი** მშვიდობის სამსახურში.“ — ასე ჰქვია პროექტს, რომელიც საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ წამოიწყო და ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს. ამასთან დაკავშირებით გუშინ ფედერაციაში სპეციალური პრესკონფერენცია მოეწყო. პრეზიდენტმა *ლევან ახვლედიანმა* ქართულ-ჰოლანდიურ წამოწყებაზე დაწვრილებით ისაუბრა.

„პროექტის მიზანია კონფლიქტურ ზონაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ოსი და ქართველი ხალხის დაახლოება. კერძოდ, სოფელ დისევში გაკეთდა ფრენბურთის მოედანი ღია ცის ქვეშ. ოფიციალური საზეიმო გახსნა 10 აგვისტოს, 12 საათზე იგეგმება და მას სავარაუდოდ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ჩვენი პირველი ლედი სანდრა რულოვსი და ჰოლანდიის ელჩი საქართველოში, ონნო ელდერენბოსხი დაესწრებიან“.

ახვლედიანის თქმით, მსოფლიოს სტანდარტებით აგებულ ქვიშის მოედანზე პირველ ჩაწოდებებს ოფიციალური სტუმრები შეასრულებენ. მერე კი თბილისიდან ჩასული მოქმედი სპორტსმენები გამართავენ საჩვენებელ თამაშს.

„მოედანი დისევის საშუალო სკოლის ბაზაზე იხსნება. გვინდა, ბევრი ხალხი მოვიდეს და საერთოდ, ფრენბურთის მიმართ ინტერესი გაიზარდოს. იქნებ ამ ზონაში მომავალი დიდი სპორტსმენებიც გაიზარდონ. ულრმესი მადლობა ჰოლანდიის მთავრობას ფინანსური მხარდაჭერისთვის. უმნიშვნელოვანესი სპორტული საქმე ხომ კეთდება და ამას ზედ საერთო ქართული საქმეც ემატება. სამომავლოდ ჩვენი სურვილია, მსგავსი პროექტები კონფლიქტური ზონების სხვა ადგილებშიც განვახორციელოთ. სამწუხაროდ, ფრენბურთის ფედერაციის ბიუჯეტი ამისთვის საკმარისი არ იქნება და ისევ კეთილი პარტნიორი უნდა გამოჩნდეს“.

ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, პლაჟის ფრენბურთი საქართველოში დღითი დღე პოპულარული ხდება და მოედნების რაოდენობაც სწრაფად მატულობს. ქართულპასპორტიანი ბრაზილიელების გეორ და გიას წარმატებული თამაში და მათი ოლიმპიური შანსები კი კიდევ უკეთესი მომავლის საბაბს იძლევა.

**ლადო ფულუკიძე**



სანდრა რულოვსი მუდამ ქართული ფრენბურთის გვერდითაა



# ვაი ამერიკას!

## იანკებს რაჰმანის იმედიღა აქვთ

**განგაშის** ზარები შემოჰკრეს ამერიკულ სპორტულ სამყაროში. იანკებს ლამისაა არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდეთ, რადგანაც ძალიან გასჭირვებიათ — ვერაფრით ინელებენ ვარსკვლავებით სავსე დრიმ-თიმის ათენის ოლიმპიადაზე კრახს, წლეულს კი მათ პირველობა თავისსავე გამოგონილ სპორტში, ბეისბოლშიც წაართვეს.

ახლა კი ამერიკული კრივის ჰეგემონიას ელება ბოლო და თან სად — ყველაზე პრესტიჟულ, ზემძიმე წონაში. თავად განსაჯეთ, არსებული ოთხი ქამრიდან მხოლოდ ერთია ამერიკელ, ჰასიმ რაჰმანის ხელში. დანარჩენი სამი კი იანკთა გულის გასახეთქად ჯერ კიდევ მოსისხლე მტრების, მართალია ყოფილი, მაგრამ მაინც საბჭოთა მოკრივეთა წელს ამშვენებს — WBA-ს ტიტულს რუსი ნიკოლაი ვალუევი ფლობს, IBF-სას — უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკო, WBO-ს — ბელორუსი სერგეი ლიახოვიჩი.

ჰოდა, ამ შაბათს შეიძლება, ისე მოხდეს, რომ მეოთხემაც პოსტსაბჭოეთში გადმოინაცვლოს — ყაზახი ოლეგ მასკაევი რაჰმანს დაეტაკება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასკაევს შვიდი წლის წინ ეს ამერიკელი რინგიდან დაფრენილი ჰყავს და გამეორებას აუცილებლად ეცდება.

თუმც რაჰმანი სულ სხვანაირად ფიქრობს და მომავალი ბრძოლის მოსაგებად თავს დადებს.

„ჩემს უკან ამერიკა დგას! მე არა მარტო ჩემს ქამარს, არამედ მთლიანად ამერიკის სახელს ვიცავ. ასე მგონია, წაგების შემთხვევაში ქვეყანაში გლოვა გამოცხადდება. ასე რომ, ეს ჩემი ქვეყნისთვის ბრძოლა იქნება".

მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ რაჰმანი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს თავის მეტოქეებს და მათი წარმატების მიზეზებსაც ხსნის:

„მათ ყველაფერი კარგი აიღეს ევროპული და ამერიკული სკოლებიდან. თანაც ჩვენნაირები არ არიან — ამერიკელი მოიგებს რამეს და მერე ტვინი უტრიალდება, ფულს ხარბდება და ვარჯიში აღარ აინტერესებს. ისინი კი ყოველთვის დამშეულები და დაგეშილნი არიან მოგებაზე".

მოკლედ, შაბათ ღამეს დიდი ჯახი გაიმართება ლას ვეგასის რინგზე, სადაც დიდწილად ამერიკული კრივის ღირსების ბედი წყდება.

**ბახა ლომაშვილი**

# ცალყურა ბებერს რქების იმედი აქვს



ევანდერ ჰოლიფილდი კვლავაც ჩხუბის ხასიათზეა

**პროფესიულ** კრივს თავისი უძლები, ყურმოკვნეტილი შვილი ევანდერ ჰოლიფილდი უბრუნდება. მას 19 აგვისტოს ჯერემი ბეიტსთან მოელის ბრძოლა.

ისე, 43 წლის ჰოლიფილდის დაბრუნებას არავინ ელოდა. ჯერ ერთი, რინგზე ორი წელია არ გასულა და მეორე, ასაკი, რბილად რომ ვთქვათ, ხელს არ უწყობს. თუმც მაიკ ტაისონისგან ერთნახევარ ყურშემორჩენილმა ჰოლიფილდმა მაინც ისურვა რინგზე გასვლა.

ბევრი სკეპტიკურად კი უყურებს ამ დაბრუნებას, მაგრამ თვითონ ჰოლიფილდის მწვრთნელები ძალიან ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

„შეიძლება, გიჟის ნალაყბევად მოგეჩვენოთ, მაგრამ ევენდერი ასეთ კარგ ფორმაში 10 წელია, არ ყოფილა. მან რინგზე იგივე რომ აჩვენოს, რასაც ვარჯიშებზე აკეთებს, მისი მომგები არავინ იქნება" — მართლაც გიჟის ნაბოდვარს ჰგავს რონი შილდსის ეს ნათქვამი.

ჰოლიფილდის პირადმა მწვრთნელმა ტიმ ჰოლმარკმა, რომელიც მოკრივეს აგერ, უკვე 20 წელია წვრთნის, თქვა:

„ევანდერის მკლავი მანერვიულებდა — ადრე მას დიდ დისკომფორტს უქმნიდა, თუმცა ახლა საბოლოოდ მოირჩინა და ნებისმიერთან შეუძლია ტოლ-სწორად ჩხუბი".

როგორც ხედავთ, ჰოლიფილდის სერიოზული დამცველები გამოუჩნდნენ. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ამ ხალხის ნათქვამი — ამას დაახლოებით 11 დღეში გავიგებთ.

**ბახა ლომაშვილი**



# დავიდე და დავიდი

## სანგინეტი ნალბანდიანთან ჩარაჩიც ყოფილა და ნალბანდიც

**მასტერსი**
ტორონტო. კანადა. ჰარდი
საპრიზო 2 450 000 $

**პირველი წრე**

**სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 5:7 6:4 6:3; **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (4, ხორვატია) — ნიკოლა ალმაგრო (ესპანეთი) 7:5 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (15, ჩილე) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3 4:6 6:2; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — მარკოს ბაღდატისი (10, კვიპროსი) 5:7 6:2 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ბიორნ ფო (გერმანია) 7:5 7:6; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1 6:4; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2 6:3; **ფრანკ დანსევიჩი** (კანადა) — პეტერ პოლანსკი (კანადა) 7:6 6:3; **დავიდე სანგინეტი** (იტალია) — დავიდ ნალბანდიანი (3, არგენტინა) 6:1 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — ფილიპ ბესტერი (კანადა) 6:4 6:1; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 6:4 7:5; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) 6:4 6:2

**ქალები**
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**პირველი წრე**

**ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) 4:6 6:3 7:5; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — ემი ფრეიზერი (აშშ) 6:2 6:4; **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 7:6 7:6; **ვანია კინგი** (აშშ) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) (უარი); **ჯულია შრუფი** (გერმანია) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 5:7 6:3 6:3; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 3:6 6:4 6:2; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:4 6:4; **აიკო მორიგამი** (იაპონია) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:2 6:2; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — აშა როლე (აშშ) 6:3 6:1; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 3:6 6:4 6:1; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — მენგ იუანი (ჩინეთი) 6:4 7:6; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:2 6:2; **ვირჯინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:4 6:3

**ქალები**
სტოკჰოლმი. შვედეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

**პირველი წრე**

**ურსულა რადვანსკა** (პოლონეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:2 6:2; **ემენაუელა გალიარდი** (შვეიცარია) — კატერინა ბომოვა (ჩეხეთი) 0:6 6:3 6:0; **მარტინა სუხა** (8, სლოვაკეთი) — კლარა ზოკოპალოვა (ჩეხეთი) 7:6 2:6 6:4; **იარმილა გაიდოშოვა** (სლოვაკეთი) — ანასტასია იაკიმოვა (6, ბელორუსია) 6:2 6:3; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:0; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 6:1 6:4; **კატალინა კასტანო** (5, კოლუმბია) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 7:6 6:3; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — ნატალი ვიერინი (იტალია) 7:5 6:3; **იულია ბეიგელზიმერი** (უკრაინა) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:3 6:4; **ნა ლი** (2, ჩინეთი) — მარეტ ანი (ესტონეთი) 6:1 7:5



დავიდე სანგინეტიმ სიბერეში კუდი მოიქნია

**ტორონტოში** მასტერსის მორიგი ტურნირი დაიწყო, სადაც ყველა ჯანმრთელმა ჩოგბურთელმა მოიყარა თავი. მართალია, კანადაში ორი ტრამვირებული იანკი — ენდი როდიკი და ანდრე აგასი ვერ ჩავიდნენ, მაგრამ მაინც კარგი სანახაობის მომსწრენი ვიქნებით.

ყველაზე დიდ ინტერესს კი სეზონის უმთავრესი ტრილერის — როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის ჯახის გაგრძელება იწვევს. უფრო სწორად, ყველას ის აინტერესებს, ეს ჯახი ჰარდზეც თუ გაგრძელდება. და თუ გაგრძელდა, წლის დარჩენილი ნაწილი ულამაზესი სანახავი იქნება. ისე ეს ორი დიდი კაცი ფინალამდე ვერ შეხვდება ერთმანეთს, რადგანაც, ბუნებრივია და პირველ-მეორე ნომრებად არიან განთესილნი.

თუმც პირველ სათამაშო დღეს არც ერთ მათგანს არ მოუწია კორტზე გასვლა და ასპარეზი სხვებს დაეთმო.

პირველი ხმაურიანი სენსაცია გუშინვე შედგა. ტურნირის მესამე ნომერმა დავიდ ნალბანდიანმა ძალიან ცუდად თუ იგრძნო თავი კანადურ ჰარდზე, თორემ სხვანაირად ასეთი თამაშის მიზეზად ვერაფერს მოვიფიქრებთ. არგენტინელი დავიდე სანგინეტიმ უფრო გალახა, ვიდრე მოუგო — აბა ასე უმოწყალოდ ბოლოს როდის გაანადგურეს, თვითონ ნალბანდიანიც ვერ გაიხსენებს. ასე რომ, პატაგონიელს წლევანდელი კანადური ვიზიტიდან მხოლოდ ნიაგარის ნახვა თუ გაახსენდება.

მეორე სკალპახდილი განთესილი მარკოს ბაღდატისი შეიქნა, რომელსაც ჟულიენ ბენეტომ მოუგო. ფრანგმა "როლან გაროსული" მეოთხედფინალის შემდეგ პირველი ღირებული რამ გააკეთა. კვიპროსელისგან კი ეს წაგება მაინდამაინც არავის გაჰკვირვებია — ამ კაცმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ თამაშით მარტო სლემტურნირებზე ითამაშოს. დანარჩენ დროს კი გართობაში უფრო ატარებს.

სამაგიეროდ, განთესილთა ავტორიტეტი ივან ლიუბიჩიჩმა დაიცვა და მეორე წრეში გააღწია. ნიკოლას ალმაგრო წლეულს საუკეთესო სეზონს კი ატარებს, მაგრამ არც ხორვატია ცუდ ფორმაში. თან თამაში ჰარდზე იყო და თიხნარს შეჩვეულ ესპანელს აბა, რა ხეირი უნდა ენახა გიჟი მოწოდების მქონე ბალკანელთან.

გუშინ კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა — ერთმანეთს თიხნარის ორი სპეციალისტი, კარლოს მოია და გასტონ გაუდიო დაეტაკნენ. როგორღაც ერთხელ ვთქვით, რომ თუ გრუნტის ტურნირებს არ ჩავთვლით, გაუდიოს თამაში წვალებას უფრო ჰგავსო. ჰოდა, არგენტინელმა ეს გუშინაც დაამტკიცა, როცა ვეტერანი ესპანელის წინააღმდეგ ყურებჩამოყრილმა ითამაშა და ადვილადაც განადგურდა.

ხოსე აკასუსომ და ბიორნ ფომ კი მეორე სეტში ეპიკური ტაი ბრეიკი ითამაშეს. გაცილებით დაბალი კლასის გერმანელი კბილებით იცავდა თავს, მაგრამ არგენტინელისთვის რიცხვი 20 იღბლიანი აღმოჩნდა — ტაი ბრეიკი 20-18 დასრულდა და აკასუსოც ტორონტოში გააგრძელებს ჩოგნაობას.

ბოლოლა ქალების უმრავლესობამ კი თავი ლოს ანჯელესში მოიყარა. თუმც აქ ბლომად რუსები არიან — ასე გასაჯეთ, განთესილ საუკეთესო ხუთეულში 4 სლავია, რის გამოც ვერ გაარკვევ რუსეთის ჩემპიონატია თუ საერთაშორისო ტურნირი. თუმც კალიფორნიაში მთავარი მაინც სხვა რამ იქნება. კერძოდ, ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ კორტს ლინდსი დევენპორტი უბრუნდება და საინტერესოა, რას იზამს.

სტოკჰოლმის ტურნირი კი შემადგენლობის კუთხით მოიკოჭლებს. თუმც ეს ვის უკვირს — წლის ბოლო სლემტურნირი 20 დღეში იწყება და უმრავლესობამაც იქაურობასთან შესაგუებლად ოკეანე გადაცურა. შვედეთში მომხდარიდან კი ერთის აღნიშვნაა აუცილებელი — ერთ-ერთ საუკეთესო იუნიორ კაროლინა ვოზნიაკის WTA-ს დებიუტი ძალიან წარმატებული გამოდგა. 16 წლის დანიელმა თავისზე გაცილებით გამოცდილ ივეტა ბენეშოვას მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო და კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ მისი სახით ქალთა ჩოგბურთს დიდი ვარსკვლავი ეზრდება.

**ბახა ლომაშვილი**

# ევროპის მე-19 ჩემპიონატი
## გიოტებორგი. შვედეთი. 7 – 13 აგვისტო

# გერმანული სამართალი
## ბარტელსმა ოქრო მეექვსე ცდით გაჯრა




AFP

**ორშაბათს** შვედურ გიოტებორგში ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, წლის ყველაზე მასშტაბური და წარმომადგენლობითი ტურნირი. გიოტებორგში 48 ქვეყნის 1300-ზე მეტმა მძლეოსანმა მოიყარა თავი და ორივე რიცხვი სარეკორდოა.

საქართველომ შვედეთში ერთადერთი წარმომადგენელი მიავლინა, ახალგაზრდა სამხტომელი იულია დუბინა, ვისთვისაც ევროპირველობა გუშინ დაიწყო და დასრულდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე დუბინამ შედეგიც ვერ დააფიქსირა, ჩანს, სამივე ცდა გაუცუდდა და ევროპირველობას ასე დაემშვიდობა. სულ 25 კვალიფიკანტიდან მის მსგავსად კიდევ ექვს სპორტსმენს არ ჰქონია შედეგი, ფინალში კი 12 რჩეული გავიდა, რომელთაგან საუკეთესო სამხტომი 14,64 მეტრია, უარესი კი 13,66.

ორშაბათს სხვა სახეობათა საკვალიფიკაციო ეტაპებიც დაიწყო. ჩვენ სიგრძეზე მხტომები ვახსენოთ, რომელთა შორის გამოირჩევა გაიტალიელებული ამერიკელი ენდრიუ ჰოუი, რომლის საუკეთესო ნახტომი 8,35 მეტრს გასწვდა. 8,25 მეტრზე ისკუპა უკრაინელმა ვიქტორ კუზნეცოვმა. ამათ გარდა კიდევ სამმა კვალიფიკანტმა დაძლია 8-მეტრიანი ზღვარი.



# 9,99
**ფრანსის ობიკველუს ევროსეზონის საუკეთესო დრო**

AFP

| 7 აგვისტოს კვარცხლბეკი | |
|---|---|
| **10 კმ. ქალები** | |
| 1 ინგა აბიტოვა (რუსეთი) | 30:31,42 |
| 2 სუზან ვიგენი (ნორვეგია) | 30:32,36 |
| 3 ლიდია გრიგორიევა (რუსეთი) | 30:32,72 |
| **ბირთვის კვრა. კაცები** | |
| 1 რალფ ბარტელსი (გერმანია) | 21,13 |
| 2 ანდრეი მიხნევიჩი (ბელარუსი) | 21,11 |
| 3 იოახიმ ოლსენი (დანია) | 21,09 |

| 8 აგვისტოს ჩემპიონები | |
|---|---|
| **100 მ. კაცები** | |
| ფრანსის ობიკველუ (პორტუგალია) | 9,99 |
| **10000 მ. კაცები** | |
| იან ფიტშენი (გერმანია) | 28.10,94 |
| **20 კმ.სპ. ს. კაცები** | |
| ფრანსისკო ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი) | 1:19,09 |
| **სიგრძეზე ხტომა. კაცები** | |
| ენდრიუ ჰოუი (იტალია) | 8,20 |
| **შვიდჭიდი. ქალები** | |
| კაროლინა კლუფტი (შვედეთი) | 6740 |
| **უროს ტყორცნა** | |
| ტატიანა ლისენკო (რუსეთი) | 76,67 |

ორშაბათსვე საღამოს ევროპის უკვე ორი ჩემპიონიც გამოუჩნდა — კაცებში ბირთვის კვრაში და ქალთა 10-კილომეტრიან სრბოლაში.

128-კილოგრამიან გერმანელ ბირთვის მკვრელ რალფ ბარტელსს ბლომად ტიტულები მოუგია, მაგრამ ძირითადად ახალგაზრდობაში, ან მომცრო ტურნირებზე, მაგალითად, ქვეყნის შიდა ჩემპიონატი. ევროპის ჩემპიონობა კი მისთვის პირველი ნამდვილი გამარჯვებაა. გიოტებორგული გამოსვლა მან საკმაოდ დამაჯერებელი 20,08-მეტრიანი კვრით დაიწყო და მერეც არ ჩამოსცილებია 20-მეტრიან ზღვარს, ამ მხრივ ყველაზე სტაბილურიც გახლდათ, მაგრამ ლიდერად გაჭრას ვერაფრით ახერხებდა. ბელორუსმა ანდრეი მიხნევიჩმა უკვე მეორე ცდაზე გადააცილა ბირთვი 21 მეტრს — 21,11 დააფიქსირა და იქვე დანიელმა იოახიმ ოლსენმა 21,09 მეტრზე ჰკრა, მაგრამ ამათმა შემდეგ ოთხ ცდაზე ხეირიანი ველარაფერი მოახერხეს, ბარტელსმა კი სულ უკანასკნელ, მეექვსე ცდაზე 21,13 სანტიმეტრზე ჰკრა შვიდკილოგრამიანი სფერო და ბელორუსს ოქრო დააკარგვინა, დანიელს კი — ვერცხლი.

ქალთა 10-კილომეტრიანი გარბენი რუსმა ქალებმა პირადგუნდურ შეჯიბრებად აქციეს. ჩვენ ჩრდილოელ მეზობელთა სამეული — ინგა აბიტოვა, ლიდია გრიგორიევა და გალინა ბოგომოლოვა ერთ მუშტად შეკრულნი მირბოდნენ და არაფრით არღვევდნენ ერთობას, მაგრამ სულ უკანასკნელ წრეზე საფინალოდ რომ აუჩქარეს, ეს ერთობა ველარ შეინარჩუნეს და მათ შორის გაჩენილ ბზარში ნორვეგიელი სუზან ვიგენი შეიჭრა. სკანდინაველმა ჯერ ბოგომოლოვას გაასწრო, შემდეგ გრიგორიევაც ჩამოიტოვა და ლიდერ აბიტოვასაც შეუტია, მაგრამ აღარ დასცალდა, ფინიში პირველმა რუსმა გადაკვეთა. ევროპის ოქროც მას შეხვდა. მისი შედეგია 30 წუთი და 31,42 წამი.

ორშაბათსვე საქმეს (სირბილს, ხტომას, სროლას, კვრას — მოკლედ, ყველაფერს, რასაც მძლეოსნობა შეიცავს) შეუდგნენ უნივერსალი მძლეოსნები, შვიდჭიდელი ქალები. მათი პაექრობა გვარიან დაძაბულობასაც გვპირდებოდა, მაგრამ ინტრიგა უკვე ორი სახეობის მილევის შემდეგ განელდა — შვიდჭიდის ერთ-ერთმა უკაშკაშესმა ვარსკვლავმა, ფრანგმა იუნის ბარბერმა უდიდესი უპირატესობით მოიგო 100 მეტრი თარჯრბენი და მეორეზე გავიდა სიმაღლეზე ხტომაში. აქ მან და შვედმა კაროლინა კლუფტმა თანაბარი შედეგი აჩვენეს, 1,89 მეტრი. ამ ორი დისციპლინის მოლევის შემდეგ საერთო ჩათვლაში სწორედ ბარბერი ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ფრანგმა ტრავმა გაიმიზეზა და ბრძოლას გამოეთიშა. ამგვარად, მთავარ ფავორიტ კლუფტს ხეირიანი მეტოქე აღარ შერჩა და თუ მასაც რამე ცუდი არ შეემთხვა, ევროოქრო კისერზე აქვს. კლუფტმა შემდეგ ბირთვის კვრაში იპირველა (14,56 მეტრი), ხოლო 200 მეტრზე სპრინტში 23,86-წამიანი შედეგით მესამე იყო.

**ქოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბერნჰარდ მიულერი თბილისურ სემინარზე

# ხელბურთი საქართველოში
## აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე

**ასე ჰქვია** გერმანიის ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ერთობლივ აქცია-სემინარს, რომელიც უკვე მეორედ ტარდება ჩვენს ქვეყანაში და რომელმაც ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი მწვრთნელი ბერნჰარდ მიულერი უძღვება.

ამ ორკვირიანი ღონისძიების მიზანია ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ჰერ მიულერმა ჩვენი ეროვნული ასოციაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძესთან ერთად, თბილისის გარდა იმოგზაურა და თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარა ყველგან, სადაც ხელბურთის გუნდები არსებობს — თელავში, ყვარელში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, წყალტუბოში, სამტრედიაში, ფოთსა და ბათუმში.

გერმანელი სპეციალისტის რჩევები უთუოდ სასარგებლოდ გამოადგება ჩვენი ხელბურთის მომავალ თაობას. ამასთან, სტუმარმა მათ მცირეოდენი სახელბურთო ძღვენიც ჩამოუტანა, ხოლო სამშობლოში გამგზავრების წინ ტრენინგი ჩაუტარა ჩვენს „დიდ" გუნდებსაც — ეროვნული ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორებს „ქარიშხალას" და „თბილისს", რომლებიც სხვებზე ადრე შეუდგნენ ახალი სეზონისთვის მზადებას.

ბერნჰარდ მიულერი:

— გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ხელბურთის ფედერაციამ ნორჩი ქართველი ხელბურთელებისთვის საჩუქრად გამომატანა მაისურები, ბურთები, კარის ბადეები და პატარა ელექტროტაბლო.

— შარშანდელი პირველი ვიზიტის შემდეგ აშკარად სასიკეთო ცვლილებებს ვხედავ. თქვენმა გუნდებმა ევროტურნირებში მიიღეს მონაწილეობა, რასაც სამომავლო წინსვლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყოველ ახალ მეტოქეს რომ ეთამაშები, ხომ ბევრსაც სწავლობ.

— სასიამოვნოა, რომ ამდენ რეგიონში გყავთ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები. კარგი იქნებოდა, საუკეთესო მოთამაშეები ერთად შეგვეკრიბა, მოგვეწვია მწვრთნელები და ამ ორი კვირის განმავლობაში ვარჯიშებზე ნაბიჯ-ნაბიჯ გვევლო წინ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა.

— მინდა, კიდევ ერთხელ ვუთხრა თქვენს მწვრთნელებსა და მოთამაშეებს, რომ ხელბურთი მარტო შეტევა კი არა, დაცვაცაა. ქართველებს მშვენივრად გამოუდით იერიშები, საკუთარი კარის დაცვისას კი მოთამაშეები პასიურობენ — უბრალოდ, ზონაში დგანან.

ბატონი ბერნჰარდი დღეს მიემგზავრება გერმანიაში. იმედია, სახელგანთქმულ სპეციალისტთან ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება ქართული ხელბურთის სასიკეთოდ.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას მეტად უსიამოვნო ფაქტზე, რომელიც გულისტკივილით გვაუწყა ზურაბ კაკაბაძემ.

ბათუმში, საერთაშორისო სტანდარტის შესატყვის ერთადერთ, სპორტთამაშების სკოლის მოედანზე ტრიბუნები დაუმონტაჟებიათ, რის შედეგადაც სარბიელს სიგრძე-სიგანეში 6-8 მეტრი მოაკლდა. ასე რომ, იქ სახელბურთო მატჩების ჩატარება გამორიცხულია.

სამწუხაროა — ერთ საქმეს რომ აკეთებ, მეორე არ უნდა გაფუჭო.

**გია ახალაძე**



# სამოსი საქველმოქმედოდ

იან ბროეკერი, დეხოვის აუქციონის თავმჯდომარე გერმანელ ფეხბურთელთა მსოფლიოს თასზე ნაცვამ სამოსს ყიდის. ბასტიან შვაინშტაიგერის ბუცების ფასი 500 ევროდან იწყება, ავტოგრაფებიანი მაისურისა 650-დან. იყიდება იურგენ კლინსმანის სავარჯიშო სამოსიც. ამ ყველაფერს კი საქველმოქმედო ხასიათი აქვს: შემოსავალი გონებადაქვეითებულთა დახმარებისთვისაა განკუთვნილი.







# სამნი ქალაქში

ჰოლივუდში ერთმანეთს გადაეყარა ორი წლეულს ყველაზე დიდშემოსავლიანი სპორტსმენი: კობი ბრაიანტი და რონალდინიო. ამათ შუაში ჩაიყენეს პუერტორიკოელი მზეთუნახავი ზულეიკა რივერა, რომელიც ამასწინათ „მის სამყაროდ" გამოცხადდა. „ბარსელონა" კალიფორნიაშია შეკრებაზე და ახალი სეზონისთვის იქ ემზადება.





# ზღვისპირა დოღი

ბარამედას დოღი ერთი განთქმული ესპანური სანახაობაა. ის ტრადიციულად ზღვის პირას, შუა საკურორტო სეზონში იმართება კადისის ახლოს და მოსეირეც ბევრი ჰყავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჩელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge